საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 11 (31) | ოთხშაბათი, 16 იანვარი, 1991 წ. | ფასი 10 კაპიკი

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრესცენტრის განცხადება

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 13 იანვარს, თბილისში, მთავრობის სახლთან, გაიმართა ლიტველ ხალხთან სოლიდარობის მიტინგი. იმავე საღამოს რადიოსადგურმა „თავისუფლებამ" (რუსულმა რედაქციამ), გადასცა რეპორტაჟები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში ჩატარებული ანალოგიური მიტინგების შესახებ.

თბილისიდან გადაცემულ რეპორტაჟში რადიოსადგურის კორესპონდენტი საგანგებოდ შეეხო მიტინგზე გამოსული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას სიტყვის იმ ნაწილს, სადაც ორატორმა ილაპარაკა „ინტერფრონტებთან" თუ ცენტრის სხვა „მეხუთე კოლონებთან" ქართველი ერის დამოკიდებულებაზე.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრესცენტრი უფლებამოსილია განაცხადოს, რომ რადიოსადგურის აზრი, თითქოს ბატონმა ზვიად გამსახურდიამ პირდაპირი გაგებით ვისმე „ფიზიკური განადგურებისაკენ" მოუწოდა, მცდარია და აბსოლუტურად არ ასახავს არც უზენაესი საბჭოს და მით უმეტეს, არც მისი თავმჯდომარის პოლიტიკურ პრინციპებს.

რაც შეეხება „ინტერფრონტებსა" და იმპერიის სამსახურში მყოფ სხვა ძალებს, რომელთა პირდაპირი „დამსახურებაა" ვილნიუსში დატრიალებული ტრაგედია, მსგავსი ძალების წინააღმდეგ ქართველი ხალხი მუდამ იბრძოლებს მხოლოდ პოლიტიკური მეთოდებით. ამასვე გულისხმობდა ბატონი ზვიად გამსახურდია თავის გამოსვლაში.

1991 წლის 15 იანვარი.

უზენაესი საბჭოს პრესცენტრი.

შიდა ქართლი

დეპეშა, მოსკოვი, კრემლი მიხეილ გორბაჩოვს

ქართველი ერისთვის თქვენი „საშობაო საჩუქარი" — შვიდი იანვრის ბრძანებულება ცალმხრივი, ცრუ და ცინიკური ინფორმაციის ნაყოფია. ფაქტობრივად თქვენ ქართველებს საკუთარი სახლიდან ერეკებით.

ამ ბრძანებულებით, თქვენ კიდევ უფრო გაუხსენით ხელი „სამხრეთოსეთელ სეპარატისტ-ტერორისტებს, რომლებიც ნეტარებით ხოცავენ ქართველებს, წვავენ ქართულ სოფლებს, რაკეტებს უშენენ რესპუბლიკის მილიციის მუშაკებს...

ირწმუნეთ და ნუ გაიკვირვებთ. ამ შემთხვევაში, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მრავალრიცხოვანია თუ მცირერიცხოვანი ხალხი — ბუზი ცეცე პატარაა, მაგრამ სპილოს კლავს.

უნებურად იფიქრებ, რომ თქვენი ბრძანებულებით წინასწარი განზრახვით შურს იძიებთ ქართველ ხალხზე, რაკი მისი ახალი მთავრობა არ აპირებს სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერას.

მე მგონია, თქვენს სულსაც აწევს 9 აპრილის ცოდვა, და კიდევ უფრო დიდ ცოდვას ნუ შემატებთ.

ოთხმოცდახუთ წელს, თქვენი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რეფორმატორული მოღვაწეობა გონივრულად და ვაჟკაცურად დაიწყეთ, და მაშინ მეც ამაყად პირველი ჩავეწერე თქვენს ჯარისკაცებში.

ჰოდა, ახლა არ მოგიხდებათ ისტორიაში შეხვდეთ ხრუშჩოვივით, რომელმაც თავისი თავი „უკვდავყო" სისხლიანი ტრაგედიებით 1956 წლის 9 მარტს თბილისში, შემდეგ ბუდაპეშტში, ნოვოჩერკასკში..

ამ უსამართლო, ტენდენციური ბრძანებულების გაუქმება, ოდნავადაც ვერ შელახავს თქვენს პრეზიდენტის ავტორიტეტს. არა ფრანგს, არა ამერიკელს, არა იტალიელს, არამედ თქვენს დიდ თანამემამულეს ჩერნიშევსკის მიაწერენ სიტყვებს: «Только дураки не меняют своих решений».

[illegible] ყოფილი ჯარისკაცი
კიტა ბუაჩიძე,
მწერალი.

საზღვარგარეთ

მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს მის აღმატებულებას ბატონ ხავიერ პერეს დე კუელარს

ამ მიმართვით ჩვენ, ესტონეთის რესპუბლიკის, ლატვიის რესპუბლიკის, ლიტვის რესპუბლიკის და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების ქვემორე ხელისმომწერი თავმჯდომარეები, ჩვენ მიერ ამა წლის 13 იანვარს ხელმოწერილი განცხადების შესრულებისათვის მოგმართავთ შემდეგი წინადადებით:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით დაუყოვნებლივ მოიწვიონ კონფერენცია ბალტიის სახელმწიფოთა პრობლემების მოწესრიგებისათვის.

2. ამასთან დაკავშირებით გადაიტანონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1990 წლის 29 ნოემბრის № 678 რეზოლუციის შესრულების ვადა (სპარსეთის ყურის მოვლენათა გამო).

ღრმა პატივისცემითა და გაგების იმედით

ესტონეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ა. რიუიტელი

ლატვიის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ა. გორბუნოვი

ლიტვის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ლანდსბერგისი

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ელცინი

ტალინი, 1991 წლის 13 იანვარი

განცხადება

ბალტიის სახელმწიფოთა მიმართ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის უკანასკნელმა მოქმედებამ რეალური საფრთხე შეუქმნა მათ სუვერენიტეტს, გამოიწვია ძალადობის ესკალაცია და მსხვერპლი.

გამოვხატავთ რა ჩვენი ხალხების მტკიცე ნებას შეინარჩუნონ და განამტკიცონ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ გამოცხადებული სუვერენიტეტი;

შეგნებული გვაქვს რა ბალტიის სახელმწიფოთა ტერიტორიებზე მცხოვრები ყველა ადამიანის უფლებათა დარღვევის საფრთხის რეალობა, მათი ეროვნების მიუხედავად;

ვხელმძღვანელობთ რა რწმენით, რომ ჩვენს სახელმწიფოთა შემდგომი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ რადიკალურ გარდაქმნათა გზაზე, თავისუფლებისა და დემოკრატიის საფუძველზე,

ესტონეთის რესპუბლიკა, ლატვიის რესპუბლიკა, ლიტვის რესპუბლიკა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა აცხადებენ შემდეგს:

1. მხარეები აღიარებენ ერთმანეთის სახელმწიფო სუვერენიტეტს.

2. განცხადების ხელმომწერ სახელმწიფოთა ტერიტორიებზე ხელისუფლებითი უფლებამოსილებას ახორციელებენ მხოლოდ კანონიერად არჩეული ორგანოები. იმ პარალელურ სტრუქტურათა მოქმედება, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ ხელისუფლებითი უფლებამოსილებათა შესრულებაზე, უკანონოა.

3. მხარეები დაუშვებლად მიიჩნევენ შეიარაღებული ძალის გამოყენებას ამა თუ იმ საშინაო პრობლემის გადასაჭრელად, სახელმწიფო ხელისუფლების კანონიერად არჩეული ორგანოების ოფიციალური თხოვნის გარდა.

4. ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, რუსეთის ფედერაცია დაუშვებლად მიიჩნევენ თავიანთ მოქალაქეთა მონაწილეობას შეიარაღებულ აქციებში, რომლებიც ზიანს აყენებენ ერთმანეთის სახელმწიფო სუვერენიტეტს.

5. მხარეები გამოთქვამენ მზადყოფნას კონკრეტული მხარდაჭერა და დახმარება აღმოუჩინონ ერთმანეთს მათი სუვერენიტეტისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში.

6. მხარეები კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნევენ და გადაჭრით გმობენ ეროვნებათშორისი კონფლიქტების პროვოკაციულად გამოწვევას ამა თუ იმ პოლიტიკური მიზნის მისაღწევად.

7. ესტონეთი, ლატვია, ლიტვა და რუსეთის ფედერაცია ადასტურებენ თავიანთ მტკიცე გადაწყვეტილებას განავითარონ თავიანთი სახელმწიფოების ურთიერთობა საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთშეთანხმებულ მორიგებათა პრინციპების საფუძველზე.

8. მხარეები მოუწოდებენ ყველა სახელმწიფოს, როგორც სსრ კავშირში შემავალ, ისე მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებს, მკაცრად დაგმონ დამოუკიდებელი ბალტიის სახელმწიფოებისა და მათი მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ შეიარაღებული ძალადობის აქტები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან დემოკრატიასა და სტაბილურობას სსრ კავშირში, აგრეთვე საერთაშორისო გაერთიანებაში.

ამ განცხადებას წარუდგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, აგრეთვე მსოფლიოს სახელმწიფოთა პარლამენტებსა და მთავრობებს.

განცხადება ხელმოწერილია 1991 წლის 13 იანვარს, ესტონეთის რესპუბლიკის დედაქალაქში ქალაქ ტალინში.

ესტონეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ა. რიუიტელი

ლატვიის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ა. გორბუნოვი

ლიტვის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ლანდსბერგისი

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ელცინი

სს „საქართველო".
(საქინფორმი)

ბორის ელცინის მიმართვა ესტონელ ხალხს, ესტონეთის რუსულენოვან ხალხს და ესტონეთის რესპუბლიკაში დისლოცირებულ სამხედრო მოსამსახურეებს

პატივცემულო ჯარისკაცებო, სერჟანტებო, ოფიცრებო, არმიაში რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გაწვეულო და ამჟამად ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში მყოფო ჩვენო თანამოქალაქენო! დღეს, როცა ჩვენს ქვეყანას ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი შეექმნა და საზოგადოების ჯანსაღი ძალები კანონიერ კონსტიტუციურ ფორმებს იყენებენ იმისთვის, რომ შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი მოძებნონ, შეიძლება გიბრძანონ შექმნილ სახელმწიფო ორგანოთა კანონების, თავისი დემოკრატიული მონაპოვრების დამცველი მშვიდობიანი სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ გაილაშქრეთო. ისიც შეიძლება გითხრან, თქვენი დახმარებით საზოგადოებაში წესრიგს დავამყარებთო. მაგრამ განა კონსტიტუციის და კანონების დარღვევა წესრიგის დამყარებაა? სწორედ აქეთ კი გვიბიძგებენ ისინი, ვინც პოლიტიკური პრობლემის გადაჭრას არმიის ქვეგანაყოფთა ძალით ცდილობს.

ვიდრე ბალტიისპირეთის მიწა-წყალზე სამოქალაქო ობიექტების ასაღებად გაემართებოდეთ, მოიგონეთ თქვენი მშობლიური კერა, თქვენი რესპუბლიკის, თქვენი ხალხის აწმყო და მომავალი. კანონიერების, ბალტიისპირეთის ხალხის მიმართ ძალადობა ახალ კრიზისულ მოვლენებს წარმოშობს თვით რუსეთშიც და იმ რუსთა მდგომარეობაშიც, რომლებიც სხვა რესპუბლიკებში, მათ შორის ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში ცხოვრობენ. რეაქციის მიზანია ჩაშალოს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესი და მასთან დაკავშირებული გადასვლა იმ მეურნეობრიობის ფორმებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ არა ნომენკლატურული მმართველი კლასის ცალკეული პრივილეგირებული ჯგუფების, არამედ მთელი ხალხის კეთილდღეობას, გააუქმოს ამ რესპუბლიკების ხალხთა მიერ სიმწრით მოპოვებული დეკლარაციები და ასე ჩაშალოს სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირის ჩამოყალიბება. ასეთია იმ რეაქციულ ძალთა მიზნები, რომლებიც ცდილობენ გამოგიყენონ თქვენ, ჯარისკაცებო და ოფიცრებო, თავიანთ პოლიტიკურ თამაშში. ნუთუ დათანხმდებით იმ როლს, რომელიც მათ გაგიმზადეს? თქვენს ყურადღებას მივაპყრობ იმას, რომ სამხედრო სამსახურში რუსეთის ფედერაციიდან გაწვეულ სამხედროთა გაგზავნა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ იმ ამოცანათა შესრულებაში მონაწილეობის მისაღებად, რომლებსაც რსფს რესპუბლიკის კონსტიტუციის 29 მუხლი არ ითვალისწინებს, ე. ი. მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, არ ეთანხმება რსფსრ სახალხო დეპუტატთა რიგგარეშე ყრილობის 1990 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებას და ამიტომ კანონსაწინააღმდეგოა. დღეს თვითონ არმიას სჭირდება დაცვა, უწინარეს ყოვლისა, სოციალური, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭო უახლოეს დროში მისაღებად ამზადებს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტს. ამ აქტების მიზანია იმ სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა, რომლებიც თქვენ და თქვენს ოჯახებს გაწუხებთ. ჩვენ კატეგორიულად უარვყოფთ იმ აზრს, თითქოს არმია რეაქციული, ანტიხალხური ძალა იყოს, რადგან ვიცით, რომ არმიელები უწინარეს ყოვლისა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები, შვილები არიან, რომელთათვისაც მამულის ბედი ყველა ჩვენგანზე ნაკლებ ძვირფასი როდია. და ჩვენ გვწამს, რომ არმიის ჯანსაღი ძალები არ შეადგმევინებენ მას ფეხს ანტიხალხურ გზაზე რეაქციის მხარდასაჭერად. ჩვენ გვჯერა თქვენი, რუსეთის ახლანდელი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისა, რომელთათვისაც ისევე, როგორც რუსეთის მეომართა წინა თაობებისთვის, უჭკნობია უმაღლესი ზნეობრივი ღირებულებანი: ღირსება, მამაცობა, ვაჟკაცობა, კეთილშობილება, ხალხისა და მამულის ერთგულება. მივმართოთ ისტორიულ გამოცდილებას, რომელიც გვიჩვენებს, რომ დღევანდელმა მცდარმა ნაბიჯმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს არა მარტო იმაზე, ვინც ეს ნაბიჯი გადადგა, არამედ მომდევნო თაობებზეც.

სამსახურში წარმატებებს, ბედნიერებას გისურვებთ თქვენ და თქვენს ოჯახებს.

ესტონეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

ბალტიისპირეთში საბჭოთა კავშირის აგრესიასთან და სამხედრო გადატრიალების საფრთხესთან დაკავშირებით ესტონეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ადგენს:

1. უკეთუ წინააღუდგებიან უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევას, მისი უფლებამოსილება გადადის ესტონეთის რესპუბლიკის თავდაცვის საგანგებო საბჭოზე, რომლის შემადგენლობაში შედიან არნოლდ რიუიტელი (თავმჯდომარე), ედგარ სავისაარი და იულო ნუგისი.

2. თუ საჭირო გახდა, თავდაცვის საგანგებო საბჭოს წევრს შეუძლია თვითონ დანიშნოს თავისი მოადგილე და წარმომადგენელი.

ესტონეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე არნოლდ რიუიტელი.

ახალი კაბინეტის მინისტრები

15 იანვარს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიის დილის სხდომაზე განიხილეს საგარეო საქმეთა ახალი მინისტრის საკითხი. იგი განიხილეს ქვეყნის მინისტრთა კაბინეტის ფორმირების ფარგლებში.

სიტყვა აიღო პრეზიდენტმა, რომელმაც განაცხადა, რომ ე. ა. შევარდნაძესთან მისი საუბრებისა და შეხვედრების დროს მან დაჟინებით დაადასტურა თავისი თხოვნა გადადგომის შესახებ. გადავწყვიტე, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, არ გამომეყენებინა პრეზიდენტის უფლება და არ მეიძულებინა იგი მისი ნების წინააღმდეგ შეესრულებინა მოვალეობა. ამხანაგი შევარდნაძე ამ პოსტზე მოვიდა ჩემი მოწვევით. გაამართლა იმედები, უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენი საგარეო პოლიტიკის ახალ კურსში, რომელმაც კონსტრუქციული ზემოქმედება მოახდინა საერთაშორისო პოლიტიკურ კლიმატზე.

ამავე დროს პრეზიდენტმა სათანადოდ შეაფასა მრავალი დიპლომატის, ექსპერტის, სპეციალისტის, კონსულტანტის შრომა, რომლებიც თავიანთი მუშაობით ხელს უწყობდნენ ამ კურსის განხორციელებას.

მ. ს. გორბაჩოვმა მადლიერების სიტყვები გამოთქვა ე. ა. შევარდნაძის მიმართ თავდადებული შემოქმედებითი შრომისათვის.

საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მან წამოაყენა ამერიკის შეერთებულ შტატებში წარგზავნილი სსრ კავშირის ახლანდელი ელჩის ა. ა. ბესმერტნიხის კანდიდატურა. საკავშირო პარლამენტის წევრთა წინაშე კანდიდატს რეკომენდაცია რომ მისცა, პრეზიდენტმა აღნიშნა მისი დიდი პროფესიონალიზმი, თქვა, რომ იგი დემოკრატიული შეხედულებებისა და მაღალი კულტურის კაცია.

ა. ა. ბესმერტნიხმა პასუხი გასცა კითხვებს.

უზენაესმა საბჭომ თანხმობა მისცა მის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნას.

ამავე სხდომაზე მისცეს თანხმობა ბ. კ. პუგოს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნას.

(საკდესი).

გამოხმაურება ლიტვის ამბებზე

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა ჩეინიმ ეი-ბი-სის ტელეკომპანიის გადაცემაში ლიტვის ამბები დაახასიათა, როგორც „ავისმომასწავებელი სიგნალი", რომ "საბჭოთა კავშირში დემოკრატიზაციის პერსპექტივებს და რეფორმის მომავალს საფრთხე შეექმნა". ჩეინიმ ბრძანა, ჩემს რეკომენდაციებს პრეზიდენტს მოვახსენებო. ყოვლად უეჭველია, აღნიშნა მან, რომ ლიტვის ამბებმა საფრთხე შეუქმნა ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის სტაბილური გაუმჯობესების კურსს, რომლის მოწმენიც ამ ბოლო წლების მანძილზე ვიყავით.

კანადის საგარეო საქმეთა მინისტრმა კლარკმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კანადის მთავრობა აპირებს გადასინჯოს საბჭოთა კავშირისათვის ეკონომიკური დახმარების საკითხი.

დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა თავის ქვეყნის საინფორმაციო სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ ლაპარაკიც კი ზედმეტია საბჭოთა კავშირთან ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნების ხანგრძლივ თანამშრომლობაზე, „როცა ვილნიუსში ხალხს ხვრეტენ".

ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ეიესკენსმა ტელევიზიით განაცხადა: უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან ყოველთვის პირობებზე იყო დამოკიდებული. თუ საბჭოთა კავშირი კვლავაც განაგრძობს დემოკრატიზაციის კურსს, ჩვენ მზად ვართ მასთან სათანამშრომლოდ. თუ არა და, გადავსინჯავთ ჩვენს პოზიციას. დღესდღეობით ნაადრევია საბოლოო დასკვნის გამოტანა, მაგრამ ძალზე მკაცრად ვაპირებთ საკითხების დასმას.

აბუ-დაბში მყოფმა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰერდმა ბი-ბი-სის ტელეკომპანიას განუცხადა: სავსებით ნათელია, რომ საბჭოთა კავშირისთვის დახმარების საკითხი გადაისინჯება, თუ ჩვენ და ჩვენი პარტნიორ-მეგობრები დავასკვნით, რომ საბჭოთა პოლიტიკა შეიცვალა. ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ სპარსეთის ყურის ზონაში ვითარების გულისთვის შეუმჩნეველი დარჩეს ბალტიისპირეთის ამბები, შეიქმნას რეპრესიების პოლიტიკისაკენ დაბრუნების საფრთხე, რომელზეც, როგორც გვეგონა, საბჭოთა კავშირმა საბოლოოდ თქვა უარი.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დიუმამ ტფ-1 ტელეკომპანიის პროგრამით გამოსვლისას აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში შექმნილი ვითარება ძალზე ფრთხილად უნდა შეაფასონ. მან ბრძანა, რომ ძალზე შეშფოთებულია ლიტვაში შექმნილი მდგომარეობით და დასძინა, არ უნდა დაგვავიწყდეს გარდაქმნასთან დაკავშირებული საქმეები და ის, რომ პრეზიდენტ გორბაჩოვის წინაშე ძალზე ძნელი ამოცანებიაო დასახული. "როგორც მან თქვა, საბჭოთა კავშირის მომავლის ჰორიზონტზე მუქი ღრუბლები მოჩანს.

ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ორდონიესის აზრით, ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნები ფრთხილად უნდა მიუდგნენ ლიტვის საკითხს. ზოგზოგები, ბრძანა მან ესპანეთის რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში, გვთავაზობენ შევწყვიტოთ საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობა. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ძალზე დიდი რისკი იქნება, და მეტი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ.

იაპონიის მინისტრთა კაბინეტის გენერალურმა მდივანმა საკამოტომ ოფიციალური განცხადება გააკეთა, რომელშიც აღნიშნა: შეიარაღებული ძალების ამგვარი გამოყენება შეუწყნარებელია და არ შეესაბამება საბჭოთა კავშირის გარდაქმნის პოლიტიკას. იმედი გვაქვს, ვითარება არ გაურესდება და პრობლემა დემოკრატიული, მშვიდობიანი გზით მოგვარდება. რაც შეეხება საბჭოთა კავშირისათვის დახმარებას, ცხადია, ასეთი მხარდაჭერის ფორმის საკითხი გადაისინჯება, თუ შეირყა საძირკველი, ბაზისი, რომელიც უზრუნველყოფს გარდაქმნის სწორ მიმართულებას. შეეხო რა იმას, თუ რა გავლენას მოახდენს ყოველივე ეს საბჭოთა კავშირ-იაპონიის საერთო ურთიერთობაზე, საკამოტომ თქვა: ჯერჯერობით ეს ურთიერთობა არ იცვლება. ჩემი აზრით, იაპონიაში პრეზიდენტ გორბაჩოვის ვიზიტამდე არ უნდა შეიცვალოს, მაგრამ მოვალენი ვართ ყურადღებით ვადევნოთ თვალი სიტუაციის განვითარებას.

ამერიკის პრეზიდენტის თანაშემწემ ეროვნული უშიშროების დარგში სკოუკროფტმა ენ-ბი-სის ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, ლიტვაში საბჭოთა კავშირის მოქმედება „დიდ შეშფოთებას" იწვევს და შეიძლება გავლენა მოახდინოსო საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაზე.

თეთრი სახლის თანამშრომელთა აპარატის ხელმძღვანელმა სუნუნუმ სი-ბი-ესის ტელეკომპანიის პროგრამაში აღნიშნა: „საბჭოთა კავშირს ამგვარმა მოქმედებამ შეიძლება დასავლეთ ევროპისა და შეერთებული შტატების მხარდაჭერა დააკარგვინოსო". მან ისიც დასძინა, საბჭოთა კავშირში სათებერვლოდ ნავარაუდევი პრეზიდენტ ბუშის ვიზიტის საკითხი „დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოხდება მომდევნო რამდენიმე საათისა და რამდენიმე დღის შემდეგ".

ნატოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ბრიუსელში განაცხადა: „ნატოს პოლიტიკურმა კომიტეტმა შაბათ-კვირას ორი საგანგებო სხდომა მოიწვია, რომლებზეც განიხილეს ლიტვის მდგომარეობა, ძალის გამოყენების შედეგად დახოცილ-დაჭრილთა თაობაზე ცნობა და „ეროვნული ხსნის კომიტეტის" მხრივ ძალაუფლების მიტაცება, რომელიც დემოკრატიულად არჩეულ მთავრობას ეკუთვნოდა.

ნატო გულმოდგინედ ადევნებს თვალს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში შექმნილ ვითარებას".

პრაღაში გაიმართა ჩეხეთ-სლოვაკეთის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის საგანგებო სხდომა, რომელზეც მიიღეს განცხადება. მასში ნათქვამია: „მთავრობის ურყევი აზრით, ლიტვის რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების კანონიერი ორგანოებისა და მოქალაქეთა წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენება უმაქნისს ხდის ევროპაში უშიშროებისა და დაძაბულობის შენელების პროცესს, ძირს უთხრის იმ დემოკრატიული გარდაქმნების მიმართ ნდობას, რომლებიც ბოლო წლებში ხორციელდება საბჭოთა კავშირში.

შვედეთის პრემიერ-მინისტრმა კარლსონმა განცხადება გააკეთა ლიტვის ამბების გამო. მასში ნათქვამია: „გული მატკინა და განმარისხა ვილნიუსის ამბებმა. მე კვლავ მოვუწოდებ საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, ნუ მიმართავენ ძალადობას, არამედ დაიწყონ დიალოგი პოლიტიკური გადაწყვეტის მისაღწევად.

შვედეთის მთავრობას ბალტიისპირეთის რესპუბლიკების პარლამენტები თავ-თავიანთი ხალხების კანონიერ წარმომადგენლებად მიაჩნია".

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ბონში განაცხადა: გერმანიის მთავრობა დიდად შეშფოთებული ადევნებს თვალს ლიტვის ამბების განვითარებას. გენშერის მითითებით საგარეო საქმეთა სამინისტროში შეიქმნა სამუშაო შტაბი, რომელიც თვალს ადევნებს ვითარებას. მთავრობის აზრით, შაბათ ღამით ლიტვაში მომხდარი ამბები „ესკალაციის საშიშროებას" შეიცავს.

ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ბეიკერმა ანკარაში ჩასვლისთანავე მკაცრად გააკრიტიკა მოსკოვის მოქმედება ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში და განაცხადა, ეს ამბავი საფრთხეს უქმნის საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას. საბჭოთა მთავრობის მხრივ ძალის გამოყენება „ძირფესვიანად და ტრაგიკულად ეწინააღმდეგება გარდაქმნის, საჯაროობისა და დემოკრატიზაციის ძირითად პრინციპებს, — თქვა მან, — გარდაქმნა კანონის ძალას უნდა ეყრდნობოდეს, და არა იარაღის ძალას. ამერიკისა და საბჭოთა კავშირის მტკიცე თანამშრომლობა დამოკიდებულია რეფორმების თანამიმდევრობაზე, რადგან თანამშრომლობა შეუძლებელია, თუ შეხედულებანი ერთმანეთს არ ემთხვევა".

გერმანიის კანცლერი კოლი დიდად შეშფოთებულია ლიტვის ამბებით. როგორც გერმანიის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ფოგელმა ბრძანა, კოლს კონფიდენციალური წერილი გამოუგზავნია მიხეილ გორბაჩოვისთვის.

გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა გაავრცელეს ერთობლივი განცხადება — „ბალტიისპირა სახელმწიფოებში მომხდარი ინციდენტების გამო", რომელშიც დაგმეს „დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების წინააღმდეგ მიმართული ლახვარი, რომლებიც არღვევს ახალი ევროპის ქარტიის პრინციპებს". მათ პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვს მოუწოდეს გასცეს განკარგულება, რომ შეწყდეს ძალის გამოყენება, და ყველაფერი იღონონ, რათა განაგრძონ დიალოგი ბალტიისპირა ხალხთა თავისუფლად არჩეულ წარმომადგენლებთან.

ეი-ბი-სის ტელეკომპანიამ მოსკოვიდან რეპორტაჟში გადასცა: „პრეზიდენტმა გორბაჩოვმა განკარგულება გასცა შესწყდეს ლიტვაში სამხედრო აქციები, რომლებსაც საბჭოთა ჯარები ახორციელებენ ძალის გამოყენებით. მაგრამ საბჭოთა ჯარები ღამის წყვდიადით სარგებლობდნენ და განაგრძობდნენ საკვანძო ობიექტების ხელში ჩაგდებას. უკვე მთელი წელიწადია მოსკოვი ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს ლიტვაზე, მაგრამ ახლანდელი აქციები გამოირჩევა როგორც სისასტიკით, ისე მოსკოვის იმ ცდებითაც, რომ მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებათა მეშვეობით დაამახინჯოს ლიტვაში მიმდინარე ამბები. ოფიციალურ პრესას სურს ლიტვაში დამოუკიდებლობის მომხრენი უმცირესობად წარმოგვიდგინოს და მხარს უჭერს „ეროვნული ხსნის" მცირერიცხოვან კომიტეტს, რომელიც ცდილობს ლიტვის დემოკრატიულად არჩეულ მთავრობას ხელიდან გამოჰგლიჯოს ძალაუფლება".

იაპონური „იომიური" აღნიშნავს: „დასანანია ის ფაქტი, რომ ასეთი ვითარება შეიქმნა იმ დროს, როცა სპარსეთის ყურის ზონაში კრიზისი აღმოსავლეთ-დასავლეთის შეკავშირებას მოითხოვს. თუმცა კიდევ უფრო სერიოზულია ის გარემოება, რომ „პერესტროიკიდან" გადახვევამ, რასაც ადასტურებს ახლანდელი ამბები, შეიძლება ძირი გამოუთხაროს აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის დამყარებულ ნდობის ურთიერთობას. დასავლეთს ლიტვის ამბები „პარიზის ქარტიის" დარღვევად მიაჩნია, იმედი ვიქონიოთ, რომ გორბაჩოვის ადმინისტრაცია მართვის მშვიდობიან სტილს დაუბრუნდება და თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ წასწევს წინ ძნელ რეფორმებს. ამასთანავე გვინდა მოვუწოდოთ ლიტველ ხალხს: ძალადობრივი მეთოდებით ნუ იმოქმედებს, თავისი ღონე მოახმაროს სუვერენიტეტის გაფართოებას, ითანამშრომლოს გორბაჩოვის ადმინისტრაციასთან, რომელიც რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა".

იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა დე მიკელისმა ლიტვის ამბებთან დაკავშირებით განაცხადა: „ჩვენ ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ არ გადაუხვიონ მსოფლიო გაერთიანების პრინციპებსა და წესებს. ჩვენ გავილაშქრეთ სადამ ჰუსეინის აგრესიისა და ძალადობის წინააღმდეგ. ასევე გავილაშქრებთ ნებისმიერი სხვა მხარის წინააღმდეგ, მათ შორის გორბაჩოვის წინააღმდეგაც. ამასთანავე ლიტვის ხელმძღვანელობას მოვუწოდებთ არ დაუშვას ისეთი შეცდომა, გარდაუვლად რომ გაიყვანს იმ გზაზე, რომელსაც ჩვენ კი დავგმობთ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ერთი ნაბიჯით უკან დაახევინებს ისტორიას".

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ ბრიფინგზე მისმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა ბაუჩერმა ბრძანა: ამჟამად უამრავი სხვადასხვა ცნობა მოდის, მათ შორის საბჭოთა ხელმძღვანელების გამონათქვამებიც, იმის თაობაზე, რომ კრემლს ბრძანება არ გაუცია ლიტვაში ძალა გამოეყენებინათ. მაგრამ მსოფლიო საბჭოთა კავშირის მთავრობისგან მოელის, რომ დაწვრილებით განმარტებას მისცემს ტრაგიკული ამბების გამო.

სენატში დემოკრატთა უმრავლესობის ლიდერმა მიტჩელმა გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: თუ საბჭოთა ხელმძღვანელობა დაუყოვნებლივ არ იღონებს ყველაფერს ძალადობის შესაწყვეტად და მშვიდობიან პროცესს არ დაუბრუნდება, საეჭვოა ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის მოეწყოს უმაღლესი დონის შეხვედრა, რომელიც თებერვლისთვის არის დანიშნული. ამერიკა ასევე ჩვეულებრივი მანერით ვერ გააგრძობს საქმეებს საბჭოთა კავშირთან. მე პრეზიდენტ გორბაჩოვს მოვუწოდებ სამართალში მისცეს მკვლელები, გამოიყვანოს საბჭოთა ჯარები ბალტიისპირეთის სახელმწიფოებიდან და დაუბრუნდეს მოლაპარაკებებს მომავალი დამოუკიდებელი ბალტიისპირეთის შესაქმნელად.

რესპუბლიკელთა უმცირესობის ლიდერმა დოულმა თქვა: უნდა გადავსინჯოთ მოსკოვთან ჩვენი ახალი ურთიერთდამოკიდებულების გარკვეული ასპექტები. თუ დაუყოვნებლივ არ შეწყდა მუქარა, შანტაჟი და აგრესია, შეერთებულმა შტატებმა არ უნდა განაგრძოს საბჭოთა კავშირთან საქმეების ჩვეულებრივი მანერით. ჩვენ უნდა შევაჩეროთ მარცვლეულის შესაძენად საბჭოთა კავშირისათვის სესხის გამოყოფა, სანამ არ აღვითქვამენ, რომ ჩვენი დახმარებით შეძენილ სურსათსა და მარცვლეულს იძულების საშუალებად კი არ გამოიყენებენ, არამედ მშვიდობიანად დაურიგებენ ყველა რესპუბლიკაში, როგორც თავდაპირველად იყო ნავარაუდევი.

თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, შეეხო რა ბალტიისპირეთში შექმნილ ვითარებას, განაცხადა: „შეერთებული შტატები არ ცნობს ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ძალადობით შეერთებას (საბჭოთა კავშირთან). ჩვენ მომხრენი ვართ მშვიდობიანი დიალოგისა, რომლის მიზანი იქნება საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტა, და მხარს ვუჭერთ ბალტიისპირეთის ხალხთა სამართლიან მისწრაფებებს". როგორც მან თქვა, ამერიკა სრულიადაც არ აპირებს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში მომხდარი ამბების გამო შეაჩეროს საბჭოთა კავშირისთვის სამედიცინო და ტექნიკური დახმარების პროგრამის შემუშავება.

კითხვაზე, მოსალოდნელია თუ არა სანქციები საბჭოთა კავშირის მიმართ, მან უპასუხა: ამ საკითხზე არავითარი გადაწყვეტილება არ მიგვიღია, მაგრამ პრეზიდენტმა გასაგებად განაცხადა, რომ ჩვენი ურთიერთობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ერთადერთი რეალური ინსტრუმენტი, რომელიც ჩვენს ხელთ არის, ეს გახლავთ ეკონომიკური შესაძლებლობანი, ურთიერთობის გაუმჯობესების შედეგად რომ მივეცით.

გერმანიის კანცლერმა კოლმა ბუნდესტაგის საგანგებო სხდომაზე მთავრობის განცხადება გააკეთა და წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ ვილნიუსში ხალხი დაიღუპა. მან ბრძანა: დიდად დაგვაფიქრა გარდაქმნის პოლიტიკის, რეფორმებისა და ახალი აზროვნების პოლიტიკის ბედმა საბჭოთა კავშირში, ყოველივე ამან ხომ განვლილი წლების მანძილზე დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი მოუპოვა საბჭოთა კავშირს, თანამშრომლობის ახალი, მრავლისმომცველი პერსპექტივები დაუსახა მას. ამიტომ პრეზიდენტ გორბაჩოვს გავუგზავნე წერილი, რომელშიც, ამას წინათ ხელმოწერილი ახალი ევროპის ქარტიის შესაბამისად, მოვუწოდე აკრძალოს ძალის ყოველგვარი შემდგომი გამოყენება, დაუბრუნდეს დიალოგისა და ურთიერთგაგების გზას და უზრუნველყოს, რომ პატივი სცენ ლიტვაში და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში მომხდარ თავისუფალ არჩევანს.

ბუნდესტაგის სხდომის შემდეგ კოლმა ჟურნალისტებთან საუბრისას ბრძანა, თუ მოსკოვი მკაცრ პოლიტიკურ გეზს დაუბრუნდა, „ამას კატასტროფული შედეგები მოჰყვებაო საბჭოთა კავშირისთვის". „დასავლეთის გაერთიანება მხარს ვერ დაუჭერს პოლიტიკას, რომელიც თავისუფლებას ზღუდავს".

ცდფ-ს ტელეპროგრამის ცნობის თანახმად, გერმანიის მთავრობამ დაადასტურა, რომ განზრახული აქვს კვლავაც შეუწყოს ხელი საბჭოთა კავშირში რეფორმების პოლიტიკას. ბუნდესტაგმა საბჭოთა მთავრობას მოუწოდა სცნოს ბალტიისპირეთის ხალხთა თვითგამორკვევის უფლება და არ დაუშვას მომავალში მათ წინააღმდეგ ძალის გამოყენება.

როგორც საფრანგეთის ეროვნული კრების საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ვოზელმა განაცხადა, საფრანგეთის მთავრობას და პრეზიდენტ მიტერანს გარკვეული თვალსაზრისი აქვთ გარდაქმნის პოლიტიკაზე, რომელიც დღემდე ხორციელდებოდა საბჭოთა კავშირში. „მაგრამ თუ დავინახეთ, რომ საბჭოთა კავშირი ცვლის თავის დამოკიდებულებას ამ პოლიტიკისადმი, ნატოელი მოკავშირენი და ევროპელი პარტნიორები გადახედავენ თავიანთ დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირისადმი". საფრანგეთის ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებმა მოითხოვეს დახმარება შეუწყვიტონ საბჭოთა კავშირს.

ელკონბერში (ინგლისი) გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მეიჯორმა და ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ბეიკერმა თავიანთი აზრი გამოთქვეს ბალტიისპირეთის მდგომარეობაზე და მის მიმართ დასავლეთის პოზიციაზე.

მეიჯორი: დიდ სინანულს ვგრძნობთ ვილნიუსში ამ ბოლო დღეებში მომხდარი ამბების გამო. კარგა ხნის მანძილზე კმაყოფილებით ვადევნებდით თვალს საბჭოთა კავშირის წინსვლას რეფორმების გზით. ვილნიუსში ძალის გამოყენება ნათლად მიუთითებს, რომ მნიშვნელოვანი შემობრუნება მომხდარა საწინააღმდეგო მიმართულებით. იმედი გვაქვს, რომ ამას ბოლო მოეღება, რომ საბჭოთა კავშირი განაახლებს მოლაპარაკებას ბალტიისპირა სახელმწიფოებთან და ვილნიუსში წამოჭრილი პრობლემები უფრო ფართოდ არ გავრცელდება. ჯერჯერობით ველოდებით, თუ როგორ წავა საქმე.

ბეიკერი: სავსებით ვეთანხმები იმას, რაც პრემიერ-მინისტრმა მეიჯორმა ბრძანა. მე მგონია, დადგა დრო, როცა სრულიად მკაფიოდ უნდა განვაცხადოთ, რომ დიდად შეგვაშფოთა მომხდარმა ამბებმა. ძველებური აზროვნებისკენ შემობრუნება შეუწყნარებელია.

ამერიკის ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიას, ბოსტონი; ბრიტანეთის აკადემიას, ლონდონი; ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიას, ვენა; საქსონიის მეცნიერებათა აკადემიას, ლაიპციგი

ამავე აკადემიების უცხოელი წევრის თამაზ გამყრელიძის მიმართვა

მსოფლიო საზოგადოებრიობა არასწორად არის ინფორმირებული საბჭოთა კავშირის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ საქართველოში ამჟამად მიმდინარე პროცესების შესახებ. ამან გადამაწყვეტინა, მომემართა თქვენთვის წერილით, რათა ნაწილობრივ მაინც გამექარწყლებინა ის წარმოდგენები საქართველოს რესპუბლიკის შესახებ, რაც დასავლეთში ამგვარი დეზინფორმაციის შედეგად ვრცელდება.

1991 წლის 7 იანვარს, მართლმადიდებლური ეკლესიის მიხედვით ქრისტეს შობის დღეს, სსრ კავშირის პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოთავსებული ყოფილი „სამხრეთ ოსეთის ოლქის“ აღდგენისა და სამი დღის ვადაში ოლქიდან ყველა სამხედრო ფორმირების გამოყვანის შესახებ, გარდა საბჭოთა კავშირის შინაგანი სამინისტროს ჯარებისა.

ამის პასუხად საქართველოს უზენაესმა საბჭომ თავის 9 იანვრის სხდომაზე ეს ბრძანებულება განიხილა როგორც საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეებში უხეში ჩარევა და მისი სუვერენული უფლებების ხელყოფა.

პრეზიდენტის ამ ბრძანებულებამ გამოიწვია მთელი ქართველი ხალხის აღშფოთება და პროტესტი; იგი განხილულ იქნა როგორც ულტიმატუმი, რომელიც „ცენტრმა“ საქართველოს რესპუბლიკას წაუყენა და ამით კიდევ უფრო დაძაბა ვითარება ყოფილ სამხრეთ ოსეთის ოლქში ქართველ და ოს მოსახლეობას შორის.

ამჟამად საქართველოს რესპუბლიკაში 160 ათასამდე ოსი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს, რომელთა დიდი უმრავლესობა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში არავითარ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ავტონომიას არ მოითხოვს. ამათგან საკუთრივ სამხრეთ ოსეთის ამჟამად გაუქმებული ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე — მხოლოდ 60 ათასამდე კაცი, რომელთაც როგორც ეროვნულ უმცირესობას საქართველოში კულტურული ავტონომიის ყველა პირობა აქვთ შექმნილი; მათ აქვთ ოსური სკოლები, სასწავლო და კვლევითი დაწესებულებები, ოსური პრესა და თეატრი, ოსური რადიო და ტელევიზია... ასეთი პირობები კულტურულ-ეროვნული განვითარებისა ოს ხალხს თვით მათ ძირითად ტერიტორიაზე, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაშიც არ გააჩნდათ, რამაც გამოიწვია მათი გამალებული გარუსება და თითქმის სრული ასიმილაცია.

ოსი ხალხის უძველესი და ძირითადი სამშობლო სწორედ ეს „ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკაა“, რომელიც ამჟამად რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ფარგლებში შედის; სწორედ აქ, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით, სახლობდნენ უძველესი დროიდან „ალანების“ შთამომავალი ოსები, ძველ ქართულად — „ოვსები“, რომლებიც ეთნიკურად და ენობრივად ირანული წარმომავლობის ტომებია. ამ დროიდანვე ეწოდა კავკასიონზე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ე. ი. ამიერკავკასიაში, ანუ საქართველოში, გადმოსასვლელ ხეობას „ალანთა კარი“ — არაბულად „დარუ ალან“, თანამედროვე „დარიალი“. ეს სახელწოდება ეჭვმიუტანლად გვამცნობს, რომ „ალანები“ ანუ „ოსები“ ამ დროს ძირითადად კავკასიონის ჩრდილოეთით სახლობდნენ; მხოლოდ გვიან შუა საუკუნეებში იწყება ჩრდილოეთიდან სამხრეთით, ისტორიულ საქართველოში, ალან-ოსების ჩამოსახლება-გავრცელება და ისტორიულ ქართულ მიწებზე დამკვიდრება. სწორედ ეს ისტორიული ქართული მიწები გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის შემდეგ საბჭოთა რუსეთის მიერ 1922 წელს „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქად“. ეს და სხვა ანალოგიური მაგალითი იყო აშკარა მცდელობა იმდროინდელი საბჭოთა რუსეთის იმპერიული ძალების მიერ ანექსირებული საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული დაქუცმაცებისა, რასაც მომავალში ეთნოკონფლიქტებისათვის ხელსაყრელი პირობები უნდა შეექმნა და ამით განემტკიცებინა ცენტრის კონტროლი რესპუბლიკაზე. საკითხავია, თუ რომელი საერთაშორისო სახელმწიფოებრივი სამართლის ძალით შეიქმნა ერთი და იმავე ხალხისათვის ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, და ერთი მათგანი — სხვა ხალხის ისტორიულ ტერიტორიაზე? ყოველივე ამის ლოგიკური შედეგი იყო ის, რომ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში“ მოქმედმა ოსმა სეპარატისტულმა ძალებმა ამ რამდენიმე ხნის წინ „ავტონომიური ოლქი“ დამოუკიდებელ „რესპუბლიკად“ გამოაცხადეს, რაც ფაქტიურად ისტორიული ქართული მიწების საქართველოს რესპუბლიკისაგან მოწყვეტას ნიშნავდა. სწორედ ამ ანტიკონსტიტუციური ქმედების საპასუხოდ იყო მიღებული საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ გაუქმების შესახებ, რასაც მხარი დაუჭირა მთელმა ქართველმა ხალხმა და რესპუბლიკის მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ. ხელოვნურად შექმნილი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკის გვერდით მუდმივი ეთნოკონფლიქტების წყარო იქნებოდა საქართველოში და ვერაფერ სიკეთეს მოუტანდა ვერც ქართველ ხალხს და ვერც ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრებ ოს მოსახლეობას.

ჩვენ, ქართველებს, ოს ხალხთან დანათესავების, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხანგრძლივი ტრადიციები გვაკავშირებს. ქართული მეცნიერება სერიოზულად სწავლობს და იკვლევს ოსი ხალხის ენას, კულტურასა და ისტორიას. ამ დარგში ქართველ მეცნიერებს საქვეყნოდ აღიარებული მიღწევები და წარმატებები აქვთ. საკმარისია გავიხსენოთ აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის ღვაწლი, რომელიც მან დასდო ოსური ენის მეცნიერულ შესწავლას. დღესაც ჩვენთან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ჩამოდის მრავალი მეცნიერი-ირანისტი ოსურ ენასა და კულტურაში თავიანთი ცოდნის სრულყოფისა და გაღრმავებისათვის...

ამჟამად სსრ კავშირის პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანებულების შედეგად ვითარება ყოფილ სამხრეთ ოსეთის ოლქში უაღრესად დაიძაბა. საპრეზიდენტო ბრძანებულებამ კიდევ უფრო წააქეზა ოსი სეპარატისტები; გახშირდა ტერორისტული აქტები ქართველი მილიციელების წინააღმდეგ. სრულიად აშკარაა, რომ საპრეზიდენტო ბრძანებულების შესრულება და ქართული სამართალდამცავი ორგანოებისა და მილიციის ამ რეგიონიდან გამოყვანა გამოიწვევდა ოს სეპარატისტთა შეიარაღებულ ფორმირებათა უკონტროლო თარეშს და ქართველი და ლოიალურად განწყობილი ოსი მოსახლეობის ტერორიზებას.

რესპუბლიკის რა დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც მის ოფიციალურ სამართალდამცავ ორგანოებს ერთმევა უფლება, წესრიგი დაამყაროს თავისსავე ტერიტორიაზე და დაიცვას თავდასხმებისაგან თავისი მოსახლეობა?

ყოველივე ეს ქმნის დამატებით პირობებს რეგიონში შემდგომი დესტაბილიზაციისა და პოლიტიკური სიტუაციის დაძაბვისათვის, ვშიშობ, რომ ჩვენ დღეს საქართველოში, რომელმაც სულ რამდენიმე ხნის წინ საქვეყნოდ გახმაურებული 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენები გადაიტანა, კვლავ გვემუქრება სამხედრო ძალების ჩარევა და ამოქმედება, ისეთივე, როგორც ამჟამად ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, და განსაკუთრებით ლიტვაში, ხორციელდება მთელი თავისი ტრაგიკული შედეგებით. და ყოველივე ეს შეიძლება ჩვენში ჩატარდეს მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის „შეუმჩნევლად“, საერთაშორისო ვითარების უკიდურესი დაძაბულობისა და მახლობელ აღმოსავლეთში „დიდი ომის“ მოლოდინის პირობებში.

მოგმართავთ თხოვნით, ჩვენი ეს მიმართვა გააცნოთ თქვენი ქვეყნების ფართო საზოგადოებრივ წრეებს, რათა დასავლეთის დაინტერესებულმა საზოგადოებამ შეიქმნას სწორი წარმოდგენა ჩვენ ქვეყანაში ამჟამად მიმდინარე რთული პოლიტიკური პროცესების შესახებ.

გამოვთქვამ რწმენას, რომ ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ განსაცდელის ჟამს მსოფლიო საზოგადოებრიობა გვერდში ამოგვიდგება და გაგვიწევს შეძლებისდაგვარად თანადგომასა და მორალურ მხარდაჭერას.

პატივისცემით, აკადემიკოსი
თამაზ გამყრელიძე
თბილისი, 12 იანვარი, 1991 წ.

მინაწერი: დღეს უკვე მთელმა მსოფლიომ გაიგო, თუ რა ტრაგიკული ამბები დატრიალდა პატარა ლიტვაში; როგორ წააგავს ეს ყველაფერი თბილისის 9 აპრილის ტრაგედიას! ისეთივე სისხლისღვრა და ხალხის ხოცვა, ისეთივე „გაურკვევლობა“, თუ ვინ გასცა ამის ბრძანება ჯარის ნაწილებს.

მთელი დემოკრატიული სამყარო, მათ შორის ჩვენი პატარა ქვეყანაც, სოლიდარობას უცხადებს ლიტველ ხალხს მათს სამართლიან ბრძოლაში სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ჩვენ გვწამს, რომ ლიტველი ხალხი ამ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვა.

შიდა ქართლი

მოსკოვი, კრემლი
სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს

თქვენს მიერ ხელმოწერილი 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება ცხადყოფს, რომ თქვენი პოლიტიკური მრჩევლები ცალმხრივ და არაობიექტურ ინფორმაციას გაწვდიან საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების შესახებ. ამავე სულისკვეთებით მოქმედებენ სსრ კავშირის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

ბრძანებულება ასახავს სსრ კავშირის გარკვეული წრეების მისწრაფებას უკიდურესად დაძაბონ პოლიტიკური ვითარება საქართველოს რესპუბლიკაში, ჩაითრიონ ქართველი და ოსი ხალხები ძმათამკვლელ ომში, კალთა გადააფარონ შეიარაღებულ ექსტრემისტებსა და ტერორისტებს, რომლებსაც სურთ რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. ეს ბრძანებულება ხალხებს შორის შიშსა და უნდობლობას ნერგავს, კერძოდ, ქართველებსა და რუსებს შორისაც. ამასთან, ობიექტურად ხელს უწყობს იმ ძალებს, რომლებიც ხელყოფენ მოქალაქეთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და მათ ქონებას.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე მოგიწოდებთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, თავი შეიკავოთ ყოველგვარი ქმედებისაგან, რომელიც მიმართული იქნება საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული უფლებების შეზღუდვისაკენ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი.

სრულიად საქართველოს გიორგი შარვაშიძის სახელობის საზოგადოება.

მოსკოვი, კრემლი
სსრ კავშირის პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს

თქვენი 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება საქართველოში იმად მიიჩნიეს, რომ ერთხელ კიდევ დაუთმეთ იმპერიულად განწყობილ რეაქციულ პოლიტიკურ ძალებს, რომლებსაც სურთ უკუღმა დაატრიალონ ისტორიის ჩარხი. ჩვენ, რესპუბლიკის ბერძენი მოსახლეობის წარმომადგენლებს გვსურს თქვენი ყურადღება მივაპყროთ იმას, რომ ეს მარტოოდენ ქართველი ხალხის კი არა რესპუბლიკის არაქართული მოსახლეობის უმრავლესობის აზრია. ჩვენ მხარს ვუჭერთ ქართველებს, რომლებსაც სურთ შეინარჩუნონ საქართველოს ერთიანობა და მთლიანობა. ისევე როგორც ჩვენი მამა-პაპანი ორი ათას წელზე მეტი ხნის მანძილზე, ჩვენც მუდამ მხარში ვედგებით სამართლიან ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ჩვენი აზრით, მხოლოდ კანონიერად, დემოკრატიული გზით არჩეულ რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაეს სახელმწიფო ორგანოებს შესწევთ ძალი იმისა, რომ საქართველოში ერთა შორის მშვიდობა და თანხმობა სუფევდეს.

იმედი გვაქვს, რომ პოლიტიკური სიბრძნე და რეალობის გრძნობა უკუაგდებს იმ საკითხების ძალის პოზიციიდან გადაწყვეტის ამაო ცდებს, რომლებიც საქართველოს ეხება.

ბერძნული კულტურის ცენტრის „ორფეოსის“ გამგეობა.

ხმას ვუერთებთ ყიზლარიდან

გუშინ რედაქციაში გვესტუმრა ყიზლარის ზამთრის საძოვრების საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე, სწავლული ვეტერინარი ექიმი სოსო აბაშიძე, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა დაღესტნიდან და შემდეგი განცხადება დაგვიტოვა:

— გულშემზარავი ცნობა გადმოსცა მოსკოვის ტელევიზიამ იმ ავადმოსაგონარ დღეს. პირდაპირ ვიტყვით: ჩაგვწარდა საშობაო დღესასწაული, რომელსაც მაშინაც კი, როცა იგი იკრძალებოდა, უსაზღვრო სიხარულით მოელოდა სამშობლოდან 600 კილომეტრით დაშორებული ათასობით ქართველი. მეორე დღეს მწყემსები დაღონებული, თვალცრემლიანი მიერეკებოდნენ ფარებს ტრამალებისაკენ, წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ იმ შავბნელ, რეაქციულ ძალებს, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა დაღუპვის პირას მიჰყავს, გამკითხავი კი არავინ არის. პირდაპირ არ შეიძლება უსმინო ქვეყნის პარლამენტის ყრილობებსა და სესიებს, რომლებიც ურთიერთ დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ სალაყბოდ გადაიქცა. თითქოს იღებენ დასტა-დასტა კანონებს, მაგრამ ისინი არ მოქმედებენ.

„პერესტროიკამ“ შუღლი და მტრობა დათესა ერებს შორის, იღვრება უდანაშაულოთა სისხლი. ჩემმა ერმაც სიკეთის საზღაურად საკმაოდ გაიღო იგი. მერე რა, საკავშირო საინფორმაციო ორგანოები და თვით ქვეყნის უდიდესი თავყრილობები და ფორუმები ყველაფერს ჩვენ გვაბრალებენ, ძალიან შორს მიდის შანტაჟი და ცილისწამება, ძნელია ყველაფერი მოითმინო.

ყიზლარში დაბანაკებული ათასობით ქართველი ხმას ვუერთებთ სრულიად საქართველოს ყველა ადამიანის გულისთქმას, ვგმობთ აგრესიულ, ანტიხალხურ პოლიტიკას, რომელიც აქეზებს ოს ექსტრემისტთა ბანდას. ამასთანავე არ შეიძლება ზიზღით არ მოვიხსენიოთ ის გამყიდველი ქართველებიც, რომლებიც პირადი ბედნიერების გულისთვის ძმას არ დაინდობენ. ასეთ ერის მოღალატეს ვლადიკავკაველ ქართველს ალექსი ბუჩუკურს პროგრამა „ვრემიაში“ 10 იანვარს ზიზღით უსმენდა ყველა ნორმალური ადამიანი.

სიმართლე დაამარცხებს ურჩხულს, მხოლოდ მოთმინება, სიბრძნე და გამჭრიახობა გვჭირდება. მტერს სწორედ ამით უნდა ვძლიოთ.

მოსკოვი, კრემლი სსრ კავშირის პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ანატოლი ლუკიანოვს,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წევრებს,
გაზეთ „იზვესტიას“

ღრმა აღშფოთებას, პროტესტს ვუცხადებ სსრ კავშირის პრეზიდენტს სამხედროთა იმ სისხლიანი და ანტიხალხური აქციების ახალი ტალღის გამო, როცა ბავშვებიც კი იღუპებიან, რომ აღარაფერი ვთქვათ მოზრდილებზე, ქალებსა და მოხუცებზე. ბავშვები დაიღუპნენ თბილისის ამბებში 9 აპრილს, ბავშვები დაიღუპნენ ბაქოს ამბებში 20 იანვარს, ახლა მათ ტანკები სრესენ ვილნიუსში, ხოლო საქართველოში იღუპებიან ქართველი და ოსი ბავშვები, რომელთა წინაპრები საუკუნეთა მანძილზე მეგობრულად, მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. აბა, ყოველმა წარმოიდგინოს თავისი შვილები, შვილიშვილები და მოწაფეები, ცხვირპირდასისხლიანებული რომ გვეკითხებიან: „დედებო და მამებო, ბებიებო და ბაბუებო, მასწავლებლებო, ხალხო, დეპუტატებო, რომელი დემოკრატიისათვის, რა ჰუმანიზაციისთვის იბრძვით? ნუთუ ასეთისთვის?!“. კინაღამ ვირწმუნე გარდაქმნა, ახლა კი სულ უფრო მეტად მჯერა, რომ კაპიკია ცენტრის მიერ რესპუბლიკებისათვის შეპირებული სუვერენიტეტის, თავისუფლების, უფლებების ფასი. კავშირის ერთიანობის შენარჩუნება შეუძლებელია, თუ მას ტანკის სამიზნეზე დავსვამთ. სამხედრო დიქტატურის ტლანქ ძალას შეუძლია დაღუპოს არა მარტო ახლანდელი კავშირი, რომელსაც თავისი დრო მოჭმული აქვს, არამედ ამ კავშირში მოსახლე ბავშვებისა და ხალხების მომავალიც. მოვუწოდებ პრეზიდენტს, მოვუწოდებ უმაღლეს საბჭოს—აღკვეთონ რეაქცია, მისცენ რესპუბლიკებს საშუალება თვითონ განსაზღვრონ თავიანთი ბედ-იღბალი ისე, რომ გარედან არავინ ჩაერიოს სისხლისმღვრელი.

შალვა ამონაშვილი,
სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს

თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „კოლხეთის“ მრავალათასიანი კოლექტივი აღშფოთებულია საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მ. ს. გორბაჩოვის მიმდინარე წლის 7 იანვრის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის შინაურ საქმეებში უხეში ჩარევაა, მისი სუვერენიტეტის უგულებელყოფაა, წინასწარგანზრახული პროვოკაციაა ქართველი ერის და მის მიერ ერთსულოვნად არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ.

ფაბრიკის კოლექტივი, მხარს უჭერს რა საქართველოს ეროვნულ პარლამენტს და მტკიცედ იცავს მის კანონიერ გადაწყვეტილებებს, გმობს პრეზიდენტის ბრძანებულებას და მოითხოვს შეწყდეს ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი აქცია, რომელიც არ შეესაბამება დემოკრატიის ელემენტარულ მოთხოვნებს. ამასთანავე, საჭიროდ თვლის საქართველოს რესპუბლიკიდან წარგზავნილმა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატებმა პროტესტი გამოხატონ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიაზე პრეზიდენტის ბრძანებულების გამო, რომელიც აღვივებს ეროვნულ შუღლს და ძაბავს სიტუაციას საქართველოში.

თბილისის სამკერვალო ფაბრიკის „კოლხეთის“ კოლექტივი.

მოსკოვი, კრემლი
სსრკ პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს

საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორატი, პროფესორ-მასწავლებლები, მთელი კოლექტივი აღშფოთებულია თქვენი 1991 წლის 7 იანვრის უკიდურესად ანტიდემოკრატიული ბრძანებულებით, რომელმაც არსებითად გამოიწვია ქართველებსა და ოდითგან ქართული მიწის მადლით დაპურებულ ოსებს შორის კონფლიქტის გამწვავება და სისხლისღვრის პროვოცირება.

უხსოვარი დროიდან საქართველოს კარი მუდამ ღია იყო დევნილი თუ განსაცდელში მყოფი ყოველი უცხოტომელისათვის. ქართველი კაცი მათ გულში იკრავდა, უვლიდა და დღემდე უვლის საკუთარი შვილებივით. უფრო მეტიც, ისტორიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე პროგრესულ კაცობრიობას შესძინა არა მარტო ქართველი, არამედ სხვა ეროვნების არაერთი ბრწყინვალე წარმომადგენელიც.

ერთი ბრძანებულებით ისტორიას ვერ შეცვლით. კონსტიტუციის მუხლების იურიდიულად აშკარად არასწორი მანიპულირებით ხალხს ვერ გააბრიყვებთ. ჩვენ გვწამდა და კვლავაც გვწამს ჭეშმარიტი მეგობრობის ძალის და ისტორიული სამართლიანობის კანონზომიერებისა.

როგორც მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატს მოგიწოდებთ მოეგოთ გონს, გამოიჩინოთ სიბრძნე მშვიდობისმოყვარე ქართველი ხალხისა და მის მადლიან მიწაზე საუკუნეების მანძილზე მცხოვრები ხალხების მიმართ და დაუყოვნებლივ გააუქმოთ თქვენს მიერ მიღებული ბრძანებულება.

ინსტიტუტის კოლექტივი.

დიქტატის მორიგი გამოვლინება

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, რომელიც თავს დაატყდა ჩემს სამშობლოს საქართველოს, და ჩემი ხალხის 20 იანვრის ტრაგედიის შემდეგ არ მწამს არც გარდაქმნა, არც დემოკრატია, არც საჯაროობა სსრ კავშირში და არც მათი არავითარი შედეგი. ორივე ტრაგედია იყო დიქტატის გამოვლინება, რომელიც, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება. საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის ამა წლის 7 იანვრის ბრძანებულება მიმაჩნია დიქტატის გამოვლინებად და მთელი ხალხის, მისი სახით — უფლებამოსილი ორგანოს — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კონსტიტუციური უფლებების, თვითგამორკვევის ნების უგულებელყოფად. რა არის ეს? სად ვართ? და აი, კიდევ ახალი ტრაგედია ლიტვაში!

საკითხის არსი, ჩემი აზრით, ის არის, რომ სუვერენულ რესპუბლიკებში ავტონომიურ ფორმირებათა შექმნა მიზნად ისახავდა „ცენტრის“ პოზიციების განმტკიცებას, დაძაბულობის შექმნას. ამ თვალსაზრისით საქართველო და აზერბაიჯანი მეზობლები არიან არა მარტო ტერიტორიულად, არამედ თავიანთი ბედითაც. აზერბაიჯანშიც ხომ არსებობს ასეთივე დაძაბული წერტილი, ეს არის დაღლიგი (მთიანი) ყარაბაღი, რომელიც სათამაშოდ იქცა დაინტერესებულ პირთა ხელში ორ ხალხს შორის სიძულვილის გასაღვივებლად. განა შეიძლება ენდო „ცენტრის“ დაპირებებს რესპუბლიკებში მშვიდობის, სიმშვიდის უზრუნველყოფის შესახებ, როცა ეგრეთ წოდებული საგანგებო წესების სიტუაციაში და საბჭოთა არმიის „კონტროლით“ იღვრება უდანაშაულო ადამიანთა სისხლი.

სამშობლო ფართალი არ არის, რომ მისი გაჭრა მაკრატლით შეიძლებოდეს. საზღვრები საზღვრებს შიგნით — ვის აძლევს ეს ხელს? მოდით, ჩავუფიქრდეთ...

ზურაბ მამედლი,
„გეირათის“ საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა სახალხო მოძრაობის გამგეობის წევრი, გაზეთ „გურჯისტანის“ სექტორის გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

საქინფორმი.

მოსკოვი, კრემლი
პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს

საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრისა და თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის მრავალეროვანი კოლექტივი მხარს უჭერს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებას ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების თაობაზე. 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება საქართველოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევაა და ხელს უშლის საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ მეგობრულ და კეთილმეზობლურ ურთიერთობას ქართველი და სხვა ერების წარმომადგენლებს შორის, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში ცხოვრობენ.

მოგმართავთ თხოვნით, გააუქმოთ თქვენს მიერ მიღებული 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულება.

ეროვნული სიმფონიური ორკესტრი, თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის თანამშრომლები.

МЫ ОСЕТИНЫ ТРЕБУЕМ АРЕСТА ОСЕТИН-СЕПАРАТИСТОВ.

მოსკოვი (14. 01. 91). მოსკოვში საქართველოს რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლობის შენობაში გრძელდება შიმშილობა, რომელიც ამა წლის 10 იანვარს დაიწყო სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.
სურათზე: შიმშილობის დროს.
საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს

დიდად პატივცემულო პრეზიდენტო, მოგმართავთ, როგორც ბაბუა ბაბუას, მშობელი მშობელს. მართალი გითხრათ, ძლიერ გამაოცა, შემდეგ აღმაშფოთა თქვენმა საშობაო „ნობათმა“, რომელიც 7 იანვარს პროგრამა „ვრემია“-თი იყო გადაცემული. იგი სრულიად არ არის სამშვიდობო მისიის მატარებელი. როგორც ირკვევა, თქვენთან ან არასრული ინფორმაციები მოაქვთ ან კიდევ დაინტერესებული პირები დამახინჯებულად გადმოგცემენ რეალურ სიტუაციებს. თქვენი ბრძანებულების გადმოცემის შემდეგ გათავხედებულმა და ცენტრის მხარდაჭერით გათამამებულმა ოსმა ექსტრემისტებმა კვლავ დაღვარეს ქართველთა სისხლი. არადა, ამ ბრძანებულების გამოქვეყნებამდე ქართული მილიციის წყალობით მდგომარეობა შიდა ქართლში, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე სტაბილური ხდებოდა.

ბატონო პრეზიდენტო, იმედი მაქვს გამოიჩენთ კაცთმოყვარეობას და არ დაუშვებთ ახალ სისხლისღვრას, არ დააობლებთ მრავალ ქართულ და ოსურ ოჯახს, გააუქმებთ თქვენს 7 იანვრის ბრძანებულებას, საშუალებას მისცემთ საქართველოს ახლად არჩეულ ეროვნულ პარლამენტს მოაწესრიგოს თავისი საშინაო საქმეები.

რევაზ დავითულიანი,
აკადემიკოს პ. სარაჯიშვილის სახელობის კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამკურნალო დარგში, კლინიკის მთავარი ექიმი.

საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს, ხალხის უფლებებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანს, ნობელის პრემიის ლაურეატს მ. ს. გორბაჩოვს

ქ. თბილისის 86-ე ბაგა-ბაღის მრავალეროვანი კოლექტივი მოგმართავთ თხოვნით, შეცვალოთ თქვენს მიერ მიღებული ბრძანებულება, რომელიც გამოქვეყნდა 1991 წლის 7 იანვარს. ჩვენ გვწამს თქვენი კეთილი გონებისა, ქართველი ხალხისადმი დიდი სიყვარულისა და პატივისცემის.

იმედი გვაქვს გააუქმებთ თქვენს ბრძანებულებას და დააკმაყოფილებთ ჩვენს მოთხოვნას.

თხოვნას ხელს აწერს 86-ე ბაგა-ბაღის 42 თანამშრომელი: **მ. ოთარაშვილი, კ. ანდღულაძე, ე. სულიაშვილი, ე. ზედინაშვილი, ნ. რცხილაძე, რ. ანდღულაძე, ხ. რატიშვილი, მ. ვადაჭკორია, ნ. აბუაშვილი და სხვები.**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას

საქართველოს რესპუბლიკის პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 300-კაციანი კოლექტივი, ისევე როგორც მთელი ქართველი ერი, აღშფოთებულია საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მ. გორბაჩოვის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულებით. პრეზიდენტის აქტი მიგვაჩნია სუვერენული საქართველოს შინაურ საქმეებში უხეში ჩარევის კიდევ ერთ გამოვლინებად. ასევე უსაზღვრო პროტესტს იწვევს ამავე ბრძანებულების ის პუნქტი, რომლის საფუძველზედაც შესაძლოა ქართველი ჭაბუკების დაშინებით და უხეში ძალის საშუალებით რუსეთის უკიდეგანო სივრცეებში გადარეკვა. დღევანდელ ანტიქართული კამპანიის პირობებში საბჭოთა ჯარში გაწვევა შეუძლებლად მიგვაჩნია და გვჯერა, რომ იგი დაღუპვას უქადის ჩვენს შვილებს.

ბატონო თავმჯდომარევ!

დღეს ჩვენი სამშობლო ყოფნა-არყოფნის წინაშე დგას. უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოქლის გაუქმების შესახებ ქართველი ერის ნების გამოხატულებაა. საბოლოოდ უნდა აღიკვეთოს ოსი ექსტრემისტების თარეში ქართველთა სისხლით და ძვლებით გაპოხიერებულ შიდა ქართლის მიწაზე. დროა ყველაფერი ვიღონოთ ყველა იმ ექსტრემისტის მიმართ, რომლებიც ზედავენ დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას. ისინი უნდა გაძევდნენ საქართველოს წმინდა მიწა-წყლიდან. დროა, მკაცრად დაწესდეს ჩვენი უძველესი სამშობლოს ტერიტორიული საზღვრები და დღის წესრიგში დადგეს მიტაცებული მიწების უკან დაბრუნების საკითხი. აი, ამ მეტად რთულ სიტუაციაში გვჭირდება ერთმანეთის თანადგომა, გატანა, სიყვარული, ეროვნული შენაერთების შექმნა. ყველა ქართველმა ახალგაზრდამ სამხედრო ვალდებულება საქართველოს ტერიტორიაზე უნდა მოიხადოს, რათა თავისი სისხლით საკუთარი სამშობლო დაიცვას! ჩვენ მტრებს უნდა შევახსენოთ, რომ საქართველომ მსოფლიო უძლიერეს იმპერიებს გაუძლო, და დარწმუნებული ვართ — რუსეთის იმპერიის შემოსევასაც გავუძლებთ. გვწამს, რომ საბოლოო გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.

საქართველოს ბავშვთა ექიმების მრავალათასიანი არმია, პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთელი კოლექტივი მხარში უდგას საქართველოს უზენაეს საბჭოს.

გაუმარჯოს ერთიან, განუყოფელ საქართველოს!

ღმერთი არს ჩვენთან!

პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი.

სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს

ბატონო პრეზიდენტო! არ გვეგონა, თუ თქვენთვის მშვიდობის ნობელის პრემიის მინიჭება იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ დაიწყებდით „ჰუმანური“ ბრძანებულებების გამოცემას და განხორციელებას მოკავშირეთა რესპუბლიკების სუვერენიტეტის უგულებელყოფით, მათ შინაურ საქმეებში ჩარევით. თუმცა ჩვენთვის არცთუ მოულოდნელი იყო, რომ თქვენ გადაუხვევდით თქვენს მიერვე გამოცხადებულ გარდაქმნას დემოკრატიისაკენ, რადგან აშკარად იგრძნობოდა დიქტატურის მომძლავრება, საკავშირო დეპუტატთა მეოთხე თავყრილობაზე.

ეროვნული მოძრაობის ხელშემწყობი მშენებელთა პროფკავშირის საზოგადოებრივი კლუბი მტკიცე პროტესტს გამოთქვამს თქვენი გადაწყვეტილების გამო, რომ სამი დღის განმავლობაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაწილები გამოიყვანონ ცხინვალიდან და ჯავის რაიონიდან. ისინი მოწოდებული არიან ძველ ქართულ მიწა-წყალზე დაიცვან უმცირესობაში მოხვედრილ ქართველთა მშვიდობიანი თანაარსებობა ოს ხალხთან ერთად. უნდა აღდგეს ისტორიული სამართლიანობა, რომელიც 1922 წლამდე, ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის წარმოქმნამდე იყო.

ბოლშევიკების ეს უსამართლო გადაწყვეტილება, რომელიც ხელს უწყობდა ერების დაპირისპირებას, იმპერიული ხასიათის გამოვლინება იყო, ამართლებდა გამონათქვამს — „გათიშე და იბატონე“, ამას ქართველი ხალხი ვერ შეურიგდებოდა.

გვწამს რომ ჩვენი საქმე სამართლიანია, და თუ თქვენში ოდნავ მაინც ღვივის ახალგაზრდების სიყვარული, დედის პატივისცემა, ნუ დაღვრით სისხლს, შეაჩერეთ თქვენი ბრძანებულება, რომელიც შობის დღეს, ყველა ქრისტიანის დღესასწაულის დღეს გამოეცით.

ეროვნული მოძრაობის ხელშემწყობი მშენებელთა პროფკავშირის საზოგადოებრივი კლუბის სახელით, მუდმივმოქმედი საბჭოს წევრები:

ავთანდილ კვეტენაძე,
ალბერ მორჩილაძე,
ანტონ მჭედლიშვილი,
გაიოზ გოშაძე,
რუსიკო ხუციშვილი.

მოსკოვი, კრემლი
სსრ კავშირის პრეზიდენტს, ნობელის პრემიის ლაურეატს მშვიდობის განმტკიცების სფეროში მ. ს. გორბაჩოვს

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაცია გამოთქვამს მტკიცე პროტესტს 1991 წლის 7 იანვრის თქვენი ბრძანებულების გამო. საქართველო ისტორიულად ტოლერანტული ქვეყანა გახლავთ და ამგვარი ბრძანებულებანი კი არა, თავად ქართველი ხალხის სულიერება ეროვნული და რელიგიური შემწყნარებლობა იცავდა და იცავს საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ინტერესებს, ამისი ნათელი დასტურია ქართველი და ებრაელი ხალხების 26 საუკუნოვანი თანაცხოვრება საქართველოში და საკუთრივ შიდა ქართლში, სადაც ებრაელობა უძველესი ხანიდან სახლობს და სადაც არასოდეს არსებულა ანტისემიტიზმი, ჩვენს შორის მუდამ ძმური თანხმობა და მშვიდობა სუფევდა.

გვწამს, რომ განგებისა და ისტორიისაგან განწესებული, სხვათა სახელმწიფოებრივი მიწა-წყლის მითვისება-მიტაცება, დაქუცმაცება თუ მათი მცდელობა ისტორიული უსამართლობაა, რასაც მუდამ მსოფლიო ჰარმონიის რღვევა მოჰყოლია და მოჰყვება მომავალშიც.

1922 წელს საქართველოს უძველეს მიწა წყალზე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, 1990 წელს კი სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადება საქართველოს წარსულის, აწმყოსა და მომავლის ხელყოფაა, რასაც სამშობლოსა და თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერი, საქართველოში მცხოვრებ სხვა ერთა ჭეშმარიტი წარმომადგენელნი და საერთაშორისო სამართალი ვერ შეურიგდება. ამიტომ, მოგიწოდებთ გააუქმოთ თქვენი ბრძანებულება, რამაც უფრო გაამწვავა ქართველთა და ოსთა შორის დამოკიდებულება. ვითარება ყოველდღე მძაფრდება. კავკასიაში კიდევ ერთი სისხლისმღვრელი კერა გაჩაღდა, უნდა აღიაროთ, ამდაგვარმა საპრეზიდენტო განკარგულებებმა უფრო გააღვივა ხალხთა შორის კონფრონტაცია თუ სისხლისღვრა.

ვიმედოვნებთ, ქართველთა და ოსთა ისტორიულ ურთიერთობებს საბოლოოდ ვერაფერს დააკლებს სეპარატისტთა და ტერორისტთა ზრახვები. კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა ისტორია ათასწლეულთა სიღრმეში იწყება. ჩვენ მომავალშიც ერთმანეთის გვერდით უნდა ვიცხოვროთ. ამას უნდა ითვალისწინებდეს უმაღლესი დადგენილებანიც. გვახსოვდეს მომავლისა და უზენაესი სამსჯავროს მარადიული არსებობა.

ბ-ნო პრეზიდენტო!

ასევე პროტესტს ვაცხადებთ ლიტვის ტრაგედიის გამო. „ბოროტების იმპერიამ“ კიდევ ერთი დანაშაული ჩაიდინა, გაიხდის როდისმე კრემლი „ევროპისა“ და „მსოფლიო ჟანდარმის“ მუნდირს?

ძირს იმპერია! ძირს ტირანია! გაუმარჯოს ხალხთა თავისუფლებას!

ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის სახელით:
გივი ლამბაშიძე — ასოციაციის პრეზიდენტი; **ანდრია აფაქიძე**— საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი; **ჯემალ აჯიაშვილი** პოეტი; **გურამ ბათიაშვილი** — მწერალი, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი; ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორი; **შოთა ბოსტანაშვილი** — არქიტექტორი, საერთაშორისო პრემიების ლაურეატი; **რაფიელ ელიგულაშვილი** — სსრკ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს რწმუნებულის მოადგილე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში; **ჩესი ლეზგიშვილი** — მწერალი; **დავით მელუხა** — გაზეთ „თბილისის“ რედაქტორის მოადგილე; **თეიმურაზ რამიშვილი** — ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი; **უშანგი რიჟინაშვილი** — მწერალი; **ოთარ სეფიაშვილი** — კინომცოდნე; **კახა ქორიძე** — საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე; **მზექალა შანიძე** — პროფესორი; **ლული შათაშვილი** — პროფესორი; **ბორის ჩიკვაშვილი** — პროფესორი; **კონსტანტინე წერეთელი** —საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; **შალვა წიწუაშვილი** — ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი; **გიორგი ხუხაშვილი** — მწერალი.

შევქმნათ საქართველოს მილიციის დახმარების ფონდი

საქართველოს არენდატორთა, აქციონერთა და თავისუფალ მეწარმეთა კავშირის პრეზიდიუმმა მიიღო მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი. მიმართვაში აღნიშნულია, რომ დღეს, როცა საქართველოში იღვრება სისხლი გორბაჩოვის ანტიქართული, ეროვნებათა შორის შუღლის გაღვივების პოლიტიკის გამო, ყველა ჩვენგანის საზრუნავი უნდა იყოს ერთი რამ — გავუწიოთ ყოველგვარი თანადგომა მათ, ვინც თავისი სიცოცხლის ფასად იცავს მრავალტანჯულ ქართულ მიწას. ამგვარ თანადგომას კი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროებს ქართული მილიცია ოსეთში და უშუალოდ ცხინვალში, დაღუპულ მილიციელთა ოჯახები, რომლებმაც დაკარგეს მარჩენალი.

ბევრმა შეიძლება არც იცოდეს, რომ საქართველოს მილიცია ურთულეს პირობებში იბრძვის, აკლია სასმელ-საჭმელი და ბევრი სხვა რამ. ყოველივე ეს მაშინ, როდესაც ცენტრიდან წაქეზებულ ექსტრემისტ-ბანდიტებს რაკეტებითაც კი აიარაღებენ.

ამ მიზეზების გამო აუცილებლად მიგვაჩნია უმოკლეს ვადებში შეიქმნას ქართული მილიციის დახმარების ფონდი. ფონდის ფუნქცია იქნება მიიღოს ყოველგვარი დახმარება მოსახლეობის, საწარმოების, კოოპერატივების და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებისაგან როგორც ფულადი, ისე სურსათ-სანოვაგის სახით. ფულადი დახმარება პირველ რიგში დაღუპულთა ოჯახებს უნდა გაეწიოს.

ამგვარი დახმარება ცხინვალში მყოფ საქართველოს მილიციას უკვე გაუწიეს საზოგადოებრივი კვების კოოპერატივების წარმომადგენლებმა, ხოლო საქართველოს არენდატორთა, აქციონერთა და თავისუფალ მეწარმეთა კავშირის პრეზიდიუმმა ათას-ათასი მანეთი გადაურიცხა დაღუპულ მილიციელთა ოჯახებს.

კავშირის პრეზიდიუმმა მოუწოდა კავშირის ყველა წევრს საქართველოს ყველა მოქალაქეს შეძლებისდაგვარად დაეხმარონ ოსეთში მყოფ საქართველოს მილიციას, აქტიური მონაწილეობა მიიღონ საქართველოს მილიციის დახმარების ფონდის შექმნაში.

საქინფორმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო და ოსები

საქართველოსა და ოსებს შორის ოდითგანვე არსებობდა ერთგვაროვანი მიმართება: ქართველნი — მეგობრულად განწყობილნი ოსებისადმი, ოსები — მტრულად განწყობილნი ქართველთადმი. ოსების ნაწილმა ვერ შეიფერა ხიზნობის ინსტიტუტი, რომლის მეშვეობითაც ქართველმა ხალხმა ხელი გაუმართა მას, საერთოდ ვერ შეიფერა ქართველთა კეთილშობილური სიკეთე და მადლიერების ნაცვლად მტრად მოეკიდა ჩვენს სამშობლოს. ქართველმა ხალხმა, ქართველმა მეფეებმა თუ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ გასაქანი არ მისცა მათ ათასგვარ ცდებს ჩვენი სამშობლოსათვის ზიანის მიყენებისა. ოსებმა თავი აიშვეს და ლაღად იგრძნეს მხოლოდ მაშინ, როცა იმძლავრა ისტორიის მღვრიე ტალღებმა და საქართველოს ბოლშევიზმის უღელი დაედო. ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი იქცა ჩვენი მიწა-წყლის ფითრად და კეთრად. იგი წელთა მანძილზე ისე ჩაყანგდა და ჩაქვითკირდა, რომ ძნელად წარმოსადგენიც კი გახდა მისი მოსპობა. არადა სხვაფრივ, ამდენი ლოლიავის, მოლაპარაკების, დაზავების, შერიგების, თუ მორიგების მერე ჰაერში დაეკიდა მკვეთრი ზომების მიღების აუცილებლობა.

საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელი ხელისუფლების მიერ განხორციელებული ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმება, გორდიასის ხლართის ეს მაკედონელისებრი გადაჭრა, უთუოდ ოქროს ასოებით ამოიტვიფრება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მატიანეში.

ჩვენ რაღა თქმა უნდა შორსა ვართ ხალხთა შორის მტრობის გეზისაგან. მაგრამ თუკი რომელსამე უცხო ტომს, ამ შემთხვევაში კი ოსებს, ჩვენს მიმართ ასეთი დამოკიდებულება აქვთ, ვთვლით, რომ ეს ფაქტი უნდა იქნეს კონსტანტირებული და უნდა მიეცეს კიდეც სათანადო შეფასება.

თქმა არ უნდა, არსებობდნენ და არსებობენ კიდეც ჩვენს მიმართ კეთილგანწყობილი ოსებიც. ამას ადასტურებს ჩვენს მასალაში ობოლ მარგალიტივით მჩინარი საქართველოს პატრიოტ ოსთა განცხადება და დღევანდელ დღეს ჩვენი მოკეთე ოსების მოსკოვს გამგზავრება და იქ შიმშილობის გამოცხადება.

ჩვენ შევეცადეთ შეგვექმნა ამ ვითარებათა ამსახველი ერთგვარი ისტორიული პანორამა. ვფიქრობთ, არჩილ ჯორჯაძის საზოგადოებაში დაგროვილი ეს მასალა მკითხველს შეუქმნის ნათელ წარმოდგენას მთელ ამ ამბებზე.

ედიშერ გიორგაძე,
არჩილ ჯორჯაძის საზოგადოების თავმჯდომარე.

ქართული ხალხური პოეზიიდან

ოსები წარსულშიაც ხშირად ირჯებოდნენ მუხანათურად საქართველოს მიმართ. ეს ქითარება აისახა ქართულ ხალხურ პოეზიაშიც. ვბეჭდავთ ერთ-ერთ ასეთ ლექსს, სადაც აღწერილია ოსთა ვერაგული თავდასხმა ქართველებზე, მათი წინამძღოლის, სალმის, თაოსნობით და მთიელთა მიერ ამ ჯგროების ერთიანი გაქლეტა (შვიდი ათასი კაციდან გადარჩა მხოლოდ შვიდი) და თავლაფდასხმა.

ოსეთს იყრება ლაშქარი, სალმი უდგება წინაო,
— გადვიდეთ მთიულეთშია, ნაღორევ დავდოთ ბინაო,
ვარჩიოთ ქალი და რძალი, სალმის მივართვათ წინაო!
ეგ მთიულებმა გაიგეს, წელზე შაიბეს რკინაო —
შვიდი ათასი კაცისა, შვიდი გაგზავნეს შინაო,
— გადაგვიტანეთ ამბავი, თქვენ ძმებს ნაღორევ ძინაო.

XIV საუკუნე

„ქართლის ცხოვრების" გაყვითლებული ფურცლები გვამცნობენ, თუ ჯერ კიდევ როდის შემოესია ოვსთა ურდოები, მათი წინამძღოლის, ფარეჯანის მეთაურობით ქართლსა და თუ როგორ განდევნა ისინი ქართველთა მეფემ, გიორგი ბრწყინვალემ.

ხოლო ჟამსა ყოფასა ფარეჯანისასა იწყეს ოვსთა ოხრებად, ხოცად და რბევად და ტყუევნად ქართლისა, და ქალაქი გორი წარტყუენეს და თავისად დაიპყრეს ოვსთა. მაშინ შეკრბეს ქართლის ერისთავისა ბეგას ძესა ამადას წინაშე ყოველნი ქართველნი და მიადგეს გორსა. და მრავალგზის შეებნეს, და ქალაქსა შინა მრავალი კაცი მოკუდა, ოვსიცა და ქართველიცა, და დაწუეს გორი სრულიად. და ვითარ მისჭირდა ოვსთა, ციხიდამან გარდმოუშვეს საბლით კაცი, და წარავლინეს მუხრანს მდგომთა თათართა თანა, რათა შეეწივნენ. ვითარცა ესმათ, ჩამოდგეს შუა, შუელა ქმნეს და ზავი, და მიერითგან შეიქმნა მტერობა შორის ქართველთა და ოვსთა, ვიდრემდის მეფეთა შორის ბრწყინვალემან დიდმან სახელგანთქმულმან გიორგი განასხნა და აღფხურნა.

ჟამთააღმწერელი

XIX საუკუნე

ოსები ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში

სიტყვის ქართველმა დიდოსტატმა, ალექსანდრე ყაზბეგმა, თავის დიდებულ თხზულებაში „ხევისბერი გოჩა", დახატა ოსთა მოღალატეობის ძალზე შთამბეჭდავი სურათი, რომელიც დღევანდელ ვითარებაში იძენს უმეტეს მკვეთრ ჟღერადობას.

ხევისბერმა გოჩამ გადახედა თავშეყრილ მოხევეთ და წყნარად, მაგრამ მტკიცედ წარმოსთქვა:

— მოიყვანეთ დამნაშავენი.

ხალხი შეინძრა, გაიპო ორად და თემისაგან არჩეულის მსაჯულების წინ წარსდგნენ ორნი ოსნი.

— მითხარით, ჩქარა მითხარით, საქმე როგორ იყო? — იკითხა ხევისბერმა.

— რაიღა როგორ იყო, — დაიწყო ერთმა მოხევემ. — ოსი ბეჩირაი და თაფსირუყო წასულიყვნენ მტრებთანა, მოსავლელი გზა ეჩვენებინათ და მტერი სანამ თავს არ წამოგვადგა, ვერა გავიგეთ-რა...

ხალხი ცახცახით უყურებდა ამ სურათს და მოელოდა იმ წუთს, როდესაც უზენაესის უფლება უნდა მიეღო და ვინ იცის რა უნდა გადაეწყვიტა.

— გაუხსენით ხელები. — ბრძანა გოჩამ, ხევის ბერმა, იდაყვი დაიდო მუხლზედ, ხელით თავი მიიბჯინა და მთლად სმენად გადაქცეული, ისე დარჩა.

თემის თავებიდან ყველაზედ უფროსი წამოდგა, გავიდა შუა ადგილას, დაიჩოქა და წარმოსთქვა:

— ხალხნო და ჯამაათნო!... სმენა იყოს და გაგონება... აი, თქვენს წინა დგას ორი ოსი... ექვსი წელია მას შემდეგ, რაც ესენი ჩვენს თემობაში მოვიდნენ, შეგვებრალეს თავი და შეგვატყობინეს, რომ თავიანთ ხალხში არ ეცხოვრებათ, რადგანაც კაცი შემოჰკვდომოდათ და სდევნიდნენ... ჰაი, ჰაი, რომ ნებისნებად კაცის სიკვდილი არ ვარგა, ცოდოც არის, მაგრამ როცა კაცს გაუჭირდების, არამც თუ ცხოსა, თავსაც კი მოიკლავს ხოლმე... კაცის შემოკვდომა უბედურებაა და ეს უბედურნი ითხოვდნენ ხევისაგან ლუკმა პურსა და თავშესაფარსა... ხევი ჩვეული არაა სტუმარს დაემალოს, მთხოვარი არ განიკითხოს; ხევმა მისცა მათ ბინა, აუშენა სახლი, დაუთმო სახნავები, ხევმა იძმო და მოსვენებული ცხოვრება მისცა... ამათ რითი-ღა გადაგვიხადეს მადლობა?.. ჩვენს მტერს უჩვენეს მოსავლელი ბილიკები, ჩვენს ჯარს მოულოდნელად თავს წამოაყენეს და ვინც ამათ ლუკმა მიაწოდა, საკიდელი ჩამოაკიდებინა, ისინი ღალატით გააწყვეტინეს... რას იტყვით ხალხო და ჯამაათნო!.. ყველა შეგატყობინეთ, ყველა გაგაგებინეთ. სახუმარო არ არის კაცის სიკვდილი.

თემის თავი წამოდგა, დაუკრა ყოველს მხარეს თავი და თავის ადგილას დაჯდა.

— იმართლეთ თავი, თუ შეგიძლიანთ, — წარმოთქვა გოჩამ, რომელსაც მდგომარეობა არ შეუცვლია.

მაყურებელნი მოუსვენრად ტოკავდნენ, მაგრამ საქმეში კი არ ერეოდნენ. ოსების დანაშაული მეტად აშკარა იყო, რომ კიდევ თავის მართლებას მოჰყოლოდნენ და ამისათვის დაეცნენ მუხლებზედ და ტირილით ეხვეწებოდნენ პატიებას, მაგრამ მსაჯულნი მათი მუდარისადმი ყრუდა რჩებოდნენ. ისინი შეჯგუფდნენ გოჩასთან. ცოტა ხანს რაღაცა არჩიეს და ისევ თავთავიანთ ადგილას დასხდნენ. მცირე სიჩუმის შემდეგ გოჩამ აიღო თავი და წარმოსთქვა:

— ორნივ ჩაქვავდეს!

ამ სიტყვებმა ხალხში ქრიამულად გაირბინა და ოსებს ფერი სრულიად დააკარგვინა., ერთი მათგანი მიუახლოვდა გოჩას, რომელმაც გადაწყვეტილების წარმოთქმის შემდეგ ისევ თავი ჩაჰკიდა და ღრმა საგონებელში წავიდა.

— გოჩავ, გემუდარები! — დაიძახა ოსმა — ყმად გაგიხდები, ოღონდაც დამიხსენ.

— ჩაქვავდეს! — იმავ ხმით გაიმეორა გოჩამ.

—მაშ უნდა მომკლან, ჩამქვაონ?!.. დაიძახა ოსმა და ფეხზე წამოვარდა: — დეე მომკლან, მაგრამ შენც აღარ გაცოცხლებ!

ამ სიტყვებთან ერთად ოსის ხელში გაიელვა ხანჯალმა, რომელიც ჩოხის ქვეშ ჰქონდა დამალული. ხალხი ერთბაშად მიაწყდა იმ ადგილს, ბურთსავით შეიკუმშა და როდესაც გაიშალა, გოჩა ისევ ისე მედიდურად იჯდა! ადგილიც კი არ შეეცვალა მოხუცს. მხოლოდ ზიზღი აღძროდა თვალებში, რომელნიც იქავ ჩახოცილს ოსებს დაჰყურებდნენ.

ალექსანდრე ყაზბეგი
— „ხევისბერი გოჩა".

26 მაისი

ბოლშევიკები და ოსები

„რევოლუციის მატიანეში" იპოვება თვით ბოლშევიკთა მიერ ფიქსირებული მათივე ვერაგობის მადასტურებელი საოცარი ფაქტი, რომელთაც კვლავ ვანიჭებთ ბეჭდურ სიცოცხლეს.

სწორედ იმ დღეს, როცა გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა (1918 წლის 26 მაისს) თბილისიდან გავიდნენ ფილიპე მახარაძე, გ. ჩხეიძე და ვ. აკოპიანცი. ისინი წავიდნენ სამხედრო გზით, ძაუგში, ვლადიკავკავში, რადგან იქ ეგულებოდათ ის ძალები, რომელთაც უნდა წაერთმიათ საქართველოსთვის ახლად მოპოვებული თავისუფლება. ეს გზა მათ კიდევ იმიტომ აირჩიეს, რომ მაშინ ჯავაში მოწვეული იყო ოსეთის ყრილობა, რომლისთვისაც ბოლშევიკთა ამ სამეულს „კრაევოი კომიტეტის" დავალებით უნდა გაეწყო ანტიქართული აგიტაცია.

აი, როგორ აღწერს ამ ამბავს, ერთ-ერთი მონაწილე, გ. ჩხეიძე: „თბილისიდან გორის გავლით ცხინვალამდე კარგად ვიმგზავრეთ, მაგრამ მერე გაგვიჭირდა. ფეხით გავიარეთ თითქმის ოცდახუთი ვერსი. შუაღამისას ავედით ჯავაში. ფილიპე ვერ იცნეს, რადგან ის საერთოდ ატარებდა გრძელ წვერს, ახლა კი გაპარსული იყო. კიდევ კარგი, თორემ ცუდად წავიდოდა ჩვენი საქმე. რადგან ოსებს ეშინოდათ ჯუღელის რაზმისა და ყრილობა დასრულდა საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ".

„რევოლუციის მატიანე"

წელი — 1918

ოსთა თარეში დუშეთში

ბოლშევიკები ვერა და ვერ შეეგუენ საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადების ფაქტს და მათ დაიწყეს ხატოვნად რომ ვთქვათ „წყალქვეშა ნავების" პოლიტიკის განხორციელება. ისინი გესლავდნენ მოსახლეობას და აწყობდნენ ბუნტებს. ოსებში მათ საიმედო საყრდენი ნახეს და მოაწყეს კიდეც მათი ამბოხება 1918 წელს, რასაც დასტურყოფს იმჟამინდელი გაზეთი „ერთობა".

საქართველოს ეროვნულ საბჭოს აცნობინებენ, რომ დუშეთის რაიონის სოფელ აბანოსა და სხვა ადგილების მცხოვრებთ აწიოკებს ოს ჯარისკაცთა რაზმი, ერთი ოფიცრის მეთაურობით. ეს რაზმი თარეშობს ბოლშევიკთა სახელით.

„ერთობა"

ოსთა თავდასხმა ქალაქ ონზე

ოსები დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის დროს, რამდენჯერმე აჯანყეს ბოლშევიკებმა. ბოლო ყველაზე დიდი ბუნტი მოხდა 1920 წელს.

27 თებერვალს, ღამის 10 საათზე, ოსების შეიარაღებული ბრბო თავს დაესხა ქალაქ ონს და რადგან იქ შეიარაღებული ძალა მცირე იყო, ხელში ჩაიგდო ქალაქი. ბრბოს წინააღმდეგ საჩქაროდ იქნა მიღებული ზომები: ქუთაისიდან გაიგზავნა შეიარაღებული ძალა და ტყვიისმფრქვეველები გენერალ ბაქრაძის მეთაურობით, ხოლო თვით რაჭაში დგება მოხალისეთა რაზმები. ონისაკენ გაიგზავნა, აგრეთვე, ლეჩხუმის გვარდიის ერთი ნაწილი.

„ერთობა"

საქართველოს ანექსია და ოსები

ისტორიკოს გრიგოლ ქვანიას ცნობით, საქართველოს სახალხო გვარდიის მიერ დევნილი, დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლი ოსები, რომლებიც 1920 წელს გადაიხვეწნენ ჩვენი საზღვრებიდან, 1921 წელს შემოჰყვნენ ბოლშევიკთა ჯარს. ისინი გზადაგზა წვავდნენ ქართულ სოფლებს, მამაკაცებს აკრავდნენ ხეებზე, მათ თვალწინ აუპატიურებდნენ მათ ცოლ-შვილს და მერე ყველას კლავდნენ. არ ინდობდნენ არც მოხუცებსა და არც ბავშვებს.

საქართველოს პატრიოტი ოსები

ქართველებისა და ოსების ურთიერთობაში შავ-ბნელ დღეებთან ერთად იყო ნათელი მომენტებიც. წარმოვაჩენთ ერთ-ერთ ასეთ ამბავს.

ოსთა ყრილობა მეჯვრისხევში

მეჯვრისხევის მიდამოების მკვიდრ ოსთა მრავალრიცხოვანმა კრებამ მოისმინა რა მოხსენება სამშობლო საქართველოს კრიტიკული მდგომარეობის შესახებ, დაადგინა: მთელი თავისი ქონება და ძალ-ღონე მსხვერპლად შესწიროს საყვარელი რესპუბლიკის და მისი მთავრობის კეთილდღეობას.

ჩვენ, ოსები, ქართველების განუყრელი ძმები, ხელიხელჩაკიდებულნი, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ვიბრძოლებთ მუხანათი მტრის წინააღმდეგ. რესპუბლიკის ძლევამოსილ ხმალს ბევრჯერ შეუჩერებია ყაჩაღ-თავდამსხმელთა ურდოები და ახლად ასეთივე თავდადებით ექვეთება გაწითლებულ ყორნებს. ვაგროვებთ შემოწირულებას და მოხალისეებს ფრონტზე გასაგზავნად.

გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ძლევამოსილებას, მის მთავრობასა და შეიარაღებულ ძალას!

მიტინგის თავმჯდომარე გიორგი ოქრუაშვილი

„საქართველო", 1921 წელი

წელი — 1924

„შეფიცულთა რაზმის" გამცემი

1924 წლის მოჯანყენი ქართველ ხალხს ეროვნულ გმირებად ჰყავდა შერაცხული, მათი ხელყოფა და მათზე ჯაშუშობა ყველაზე დიდ მკრეხელობად მიაჩნდა. ჩეკისტები, მართალია იყენებდნენ ასეთ ხალხს, მაგრამ თვით ისინიც კი მათ ათვალწუნებით უყურებდნენ. ქართველთა შორის კი მათი დასმენა, როგორც ვთქვით უდიდეს ცოდვად ითვლებოდა. ეს ასე გახლდათ, მაგრამ ოსნი, რომელთა მუხანათობას ზღვარი არა აქვს, არას დაგიდევდნენ ამ დაუწერელ კანონთა.

ქართველი ხალხის ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის უახლოესი თანამებრძოლი, მისი მარჯვენა ხელი, ალექსანდრე სულხანიშვილი, თავის წიგნში „მოგონებანი შეფიცულთა რაზმზე", აგვიწერს ოსთა ქვებუდანობის ერთ მრავალთაგან შემთხვევას.

●

თიანეთის მაზრიდან თელავის მაზრაში გადავინაცვლეთ. როგორც კი ბინა ხევგრძელის ტყეებში დავიდეთ, ჯერ მე და გაბო ოზიაშვილი წავედით ჩვენი სადგომის ირგვლივ მიდამოების დასათვალიერებლად, რადგან ხომ უნდა გვცოდნოდა, თუ რა სიმაგრე, ანდა რანაირი მდგომარეობა ჰქონდა მას. ეს აუცილებელი იყო, რადგან ამ დროს ჩვენ ყოველი მხრიდან დაგვდევდა დიდი მდევარი.

აი, ამ დაზვერვისას წავაწყდით ერთ ოსს. იმ მხარეში არის ოსების სოფელი და ისიც იქიდან იყო.

საერთოდ, უნდა ითქვას და ეს ფაქტიც არის, რომ ოსების უმრავლესობა ჯაშუშები არიან ბუნებით. მათზე ზედგამოჭრილია ხალხური გამონათქვამები: „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია", ანდა „მგელი არ მოიშლის მგლობასაო!" ასეთები იყვნენ ოსები ხელმწიფის დროს, ასეთებად დარჩნენ ჩვენი დამოუკიდებლობის წლებშიც და, როდესაც კომუნისტები შემოვიდნენ საქართველოში, ისედაც წითურები, სულ მთლად გაწითლდნენ.

ამასთან ერთად ისიც უნდა დავსძინო, რომ ამბოხების დღეებში ტყეში საერთოდ არავინ დაიარებოდა; ამიტომაც წამიერად დაგვაეჭვა ამ გარემოებამ. განსაკუთრებით დამაეჭვებელი ის იყო, რომ ამ ოსს ხელში პატარა ცული ეჭირა, ვითომდა რაღაცის მოსაჭრელად იყო წამოსული. სინამდვილეში იგი ჯაშუში გახლდათ და ამ მიზანს მოეყვანა აქ ახლაც.

ჩვენ ეს ოსი უმალ ბინაზე წავიყვანეთ და ქაქუცას წარვუდგინეთ ამ ბრალდებით: „ეს ნამდვილი ჯაშუშია და უნდა დავხვრიტოთო". ქაქუცას არ ესიამოვნა ჩვენი აზრი და გვიპასუხა: „არა, დავარიგოთ, არაფერს არ იტყვისო". მიუხედავად იმისა, რომ მე და გაბო დაჟინებით ვუმეორებდით: „ეს ჯაშუშია და დავხვრიტოთო", ქაქუცა ანდამატად იქცა. ბოლოს ბევრი კამათისა და მტკიცების მერე უკმაყოფილოდ მოგვახალა: „წადით, თავში ქვა იხალეთ, რაც გინდათ ის უყავითო". მისმა ამგვარმა მკვახე პასუხმა ორივეს დაგვაყრევინა ფარ-ხმალი და ჩვენ ის ოსი გავუშვით, მაგრამ ცოტა გაწყდა, რომ ამ ხათრისა და უფროსისადმი მორჩილებას თავიც არ წავაყოლეთ ზედ.

სულ სამიოდე საათს არ გაუვლია იმ ოსის გაშვებიდან, რომ წითლები დაგვესხნენ თავს. ჯაშუშს ზუსტად ეჩვენებინა ჩვენი ბინა. უფრო უარესიც. ისინი იმ მხრიდან მოგვადგნენ, საიდანაც არ ველოდით, იმდენადაც კი, რომ ყარაულიც არ დაგვიყენებია იქ. მომხდურნი კარგა ახლო მოსულიყვნენ და ისე აგვიტეხეს სროლა. რაკიღა ჩვენ მაშინვე შევუტიეთ, მათ ზემოდან დააპირეს მოვლო, მაგრამ იქედანაც დავასწარით და სწრაფად რომ არ მოეკურცხლათ, ისე იქნებოდნენ მომწყვდეულნი, როგორც თაგვი ხაფანგში. ერთი სიტყვით, მალე კი უშველეს თავს, მაგრამ ორი თუ სამი მკვდარი მაინც მოიტოვეს უკან.

სროლის დაწყებისას ბინაში გაშლილ ნაბადზე იყვნენ წამოწოლილნი შალვა ამირეჯიბი და გენერალი ჭავჭავაძე. არც ერთი მათგანი არ შემკრთალა თუნდაც ერთი ბეწოთი. პირიქით, ამირეჯიბმა თვალის დახამხამებაში დააძრო ნაგანი და ჯიქურ წამოეშველა შეფიცულებს. მისმა ამგვარმა საქციელმა მართლაც რომ უფრო ასწია მისი ღირსება ყველას თვალში. მიუხედავად ამისა, არცთუ უმსხვერპლოდ ჩაუვლია წითურა ჯაშუშის მუხანათობას. ამ სროლაში ერთი კარგი ცხენი დაგვიჭირეს. მას ყანყრატო ჰყონდა გახვრეტილი. რაღას ვიზამდით, ავდექით და გავუშვით, მაგრამ სანამ ძალა შესწევდა, არ დაგვანება თავი: ჩვენ რომ წამოვედით, ფეხდაფეხ მოგვდევდა საწყალი. ყველას გვებრალებოდა, მაგრამ სად იყო მისი მოვლისა და მკურნალობის დრო. ექვს კილომეტრამდე მაინც გვდია საცოდავმა. ხომ ხედავთ, პირუტყვი რა არის, და იმასაც კი არ უნდოდა წითლებთან დარჩენა... თავისი მოქმედებით თითქოსდა გვეხვეწებოდა: მეც თქვენთან წამიყვანეთ, მაგათ ხელში ნუ დამტოვებთო!

ალექსანდრე სულხანიშვილი

ბოლშევიკთა ბატონობის დროს

უკანონობისაკენ მიდრეკილი ოსები ბოლშევიკებმა დამოუკიდებელი საქართველოს სიძულვილით, რომელთან საბრძოლველადაც იყენებდნენ მათ, ისე გაათამამეს, რომ ბოლოს იძულებულნი გახდნენ თვითონაც მიეღოთ მათ წინააღმდეგ მკაცრი ზომები, რასაც ადასტურებს იმდროინდელი პრესა.

გორის მაზრაში

თბილისში დაბრუნდა საგანგებო სამეული, რომელშიც შედიან შინაგან საქმეთა კომისრის მოადგილე ხუთულაშვილი, უმაღლეს რევოლუციური ტრიბუნალის კოლეგიის წევრი ფოფხაძე და საქართველოს საგანგებო კომისიის წარმომადგენელი იაკუევი.

სამეული გაგზავნილი იყო გორის მაზრასა და ახალქალაქის რაიონში ადგილობრივი მდგომარეობის გამოსაკვლევად, იმ საჩივრების გამო, რომლებიც შემოდიოდა შინაგან საქმეთა კომისარიატში ადგილობრივ ხელისუფალთა უკანონო მოქმედებაზე, მძარცველობასა, ყაჩაღობაზე და სხვა.

მაზრაში მისვლის შემდეგ სამეულმა შემოიარა და გამოარკვია საქმეთა მდგომარეობა თვით ცხინვალსა და მის ირგვლივ მდებარე სოფლებში: აჩაბეთში, თამარაშენში, მონასტერში, ქურთაში, შინდისში და სხვა მრავალ ადგილას. ამას გარდა სამეულმა იკვლია ახალქალაქის რაიონის ვითარებაც.

ჯერ ახალქალაქზე მოგახსენებთ მოკლედ, მერე კი უფრო ვრცლად — ცხინვალზე.

ახალქალაქში ადგილობრივ მცხოვრებთა ჩვენებით აღმოჩნდა, რომ ადგილობრივი რევკომი მთელი შემადგენლობით ხშირად უმსგავსოდ მოქმედებდა და არღვევდა მთავრობის დეკრეტებს, თავის ნებით ართმევდა ზოგ ქართველს ქონებას და აძლევდა თავის ნაცნობ-ნათესავებს და თავის ქცევით დათრგუნვილი ჰყავდა მთელი რაიონი. ხუთულაშვილის განკარგულებით ამ რევკომის მთელი შემადგენლობა დაატუსაღეს და სამართალში მისცეს. დააარსეს რევკომი ახალი შემადგენლობით, ხოლო უპატრონოდ ჩამორთმეული ქონება დაუბრუნდა წინანდელ პატრონებს.

ცხინვალის რაიონში საზოგადო მდგომარეობა ამნაირი აღმოჩნდა. როცა ცხინვალში წითელი ლაშქარი შედიოდა, ადგილობრივი ოსების ბანდებმა ისარგებლეს გარდამავალი მომენტით, ეცემოდნენ ქართველთ სოფლებს, სწვავდნენ, სცარცვავდნენ, და კლავდნენ მცხოვრებთ, ასე მაგალითად, სოფლებში ქემერთაში, ცარცენში და წვერაში დაწვეს 73 სახლი, გაცარცვეს თითქმის ყველა ოჯახი და მრავალი მკვლელობა ჩაიდინეს. ამ ამბების მიზეზი ისაა, რომ ოსები, რომლებიც დასაჯა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1918-20 წლებში მოწყობილი ბუნტისათვის, ეხლა ჯავრს იყრიან ადგილობრივ მოსახლეობაზე.

ისინი დადიან ქართველების სოფლებში, გაიძახიან ძველმა მთავრობამ დაგვაზარალა, ქონება და საქონელი ჩამოგვართვა და ახლა უნდა დავძებნოთ და დავიბრუნოთო. ამ ნიადაგზე იბადება დავა და უთანხმოება, რომელიც ხშირად მეტად სამწუხაროდ თავდება. ქართველი მოსახლეობა ძლიერადაა შევიწროვებული. ზოგი სულაც აიყარა აქედან და გადასახლდა სხვა ადგილებში, ხოლო დარჩენილნი უფრთხიან ყაჩაღთა ბანდებს, რადგან აღარა აქვთ წყნარი ცხოვრების, მუშაობის საშუალება. ვერა ჰბედვენ მინდორში გამოსვლას. ადგილობრივი რევკომი ცხოვრებაში არ ატარებს მუშურ-გლეხურ მთავრობის დადგენილებებს, ხოლო ზოგიერთ სოფლებში იქაური ხელისუფლების ორგანოები თავნებობას იჩენდნენ, თავიანთ ჭკუაზე ანხორციელებს ახალ დეკრეტებს, უმსგავსოდ იქცეოდნენ, ართმევდნენ მცხოვრებთ ქონებას, ნამეტნავად საქონელს და ამით კიდევ უფრო აფრთხობს და აზარალებს ხალხს. როცა საგანგებო სამეული დადიოდა სოფლებში, გლეხებს გამუდმებით შეჰქონდათ საჩივარი ოსის ყაჩაღურ ბანდებსა და ადგილობრივ ხელისუფლების უმოქმედობაზე.

ხუთულაშვილმა, როგორც შინაგან საქმეთა კომისრის მოადგილემ, გამოსცა ბრძანება სამხრეთ ოსეთის რევკომისადმი, რომლითაც აუკრძალა ოსებს სოფელ-სოფელ და ეზო-ეზო სიარული და ქართველებისთვის თვითნებურად საქონლის და ქონების ჩამორთმევა. ამავე ბრძანების ძალით, ადგილობრივმა რევკომებმა ყველა დავა, აღძრული ამ ნიადაგზე უნდა გადაწყვიტოს და გადასცეს კომისიას, რომელიც საგანგებოდ დაარსდა ცხინვალში დატაცებული ქონების მოსაძებნად. ამასთან ერთად ადგილობრივმა რევკომებმა ყველა დავა, აღძრული ამ ნიადაგზე, თვითონ კი არ უნდა გადაწყვიტონ, არამედ უნდა გადასცენ კომისიას, რომელიც საგანგებოდ დაარსდა ცხინვალში დატაცებული ქონების მოსაძებნად. ოსების მილიციას და ყარაულებს ებრძანათ აღარ იარონ სხვის რაიონებში და არ შეაშინონ მცხოვრებნი. ამას გარდა ადგილობრივ ადმინისტრაციაში რამდენიმე პირი გამოსცვალეს — დასასრულ სამეულმა აღძრა და გაარჩია ბევრი სამოსამართლო საქმე, ასე მაგალითად ცხინვალში ადგილობრივ და ახლო-მახლო სოფლებიდან თავშეყრილი 3 000 სულის თანდასწრებით გაარჩიეს საქმე ი. ფილიევისა, რომელსაც ბრალდებოდა აღვირახსნილი ლოთობა, ყაჩაღობა და მკვლელობა წითელ არმიელის პ. ანენკოვისა. ბრალდებული დამნაშავედ სცნეს და გადაუწყვიტეს უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა. მცხოვრებლებმა თავისი კმაყოფილება გამოთქვეს ასეთი მართლმსაჯულებისათვის. სასამართლოს გადასცეს აგრეთვე თამარაშენის რევკომის თავმჯდომარე ცერსიძე და ცხინვალის რაიონის უფროსი მილიციელი ბერუაშვილი, რომელსაც ბრალდებოდა მრავალი მძიმე დანაშაული, ორთავეს დახვრეტა გადაუწყვიტეს. მაგრამ ამნისტიის ძალით დახვრეტა შეუცვალეს 20 წლის იძულებითი სამუშაოთი. ამას გარდა, საგანგებო სამეულმა დაატუსაღა კიდევ მრავალი პირი. უმთავრესად მილიციელები, რომელთაც ბრალდებოდათ სხვა და სხვა დანაშაული. მათი საქმე გამოსაძიებლად გადაცემულია გორში.

„სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წ.

წელი — 1990

რა მოხდა სამაჩაბლო-საერისთაოში

ერთი დღის (1990 წლის 1 იანვრის) მანძილზე

გასული წლის 8 იანვარს, თბილისში, კიბერნეტიკის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში შედგა საზოგადოება „სამაჩაბლოს" საორგანიზაციო კომიტეტის ასარჩევი თავყრილობა, სადაც წარმოჩნდა შიდა ქართლის მრავალი საჭირბოროტო საკითხი.

გამომსვლელებმა დიდის მღელვარებით დახატეს ქართული მოსახლეობის ფრიად შეჭირვებული ყოფის სურათი, ეგრეთწოდებულ „სამხრეთ ოსეთში".

განსაკუთრებით სულის შემძრავი გახლდათ სოფელ ქურთას საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის, ბატონ ბეჟან ოთინაშვილის გამოსვლა, რომელმაც ასე დაიწყო თავისი სიტყვა:

— იმაზე საუბარი, თუ რა მდგომარეობაა შიდა ქართლში, ძალზე შორს წაგვიყვანს. პირადად მე მთელი დღეც არ მეყოფა ყოველივეს მოსათხრობად. ამჯერად გამცნობთ მხოლოდ იმას, თუ რა მოხდა იქ ერთი დღის, კერძოდ 1 იანვრის, განმავლობაში.

ოსებმა შეიპყრეს მეფრინველეობის ფაბრიკის მძღოლი, ვასო ლოლოშვილი და როგორც ქართველს დაუპირეს წამება. ვასოს ნაცნობი ოსი რომ არა, მისთვის გაზით უნდა დაეძროთ კბილები. ამ ოსმა თავისი ჯილაგის ხალხს უთხრა: ამ კაცს თუ დავაინვალიდებთ, ვინღა მოგვაწვდის კვერცხსა და ქათამსო.

ჯავაში, სტომატოლოგიური კლინიკიდან გამოიყვანეს ექიმი გიორგი ჭულუხაძე, მაგრად გალახეს და უთხრეს, აქ აღარ დაგინახოთ მოსული, თორემ მოგკლავთო.

ქურთაში გაძარცვეს იქაური მცხოვრები, გიორგი ციციღაშვილი, წაართვეს მანქანა, იქედან ამოიღეს მაგნიტოფონი, სათადარიგო საბურავი და სხვა ნივთები და ნაწილები. მერე მას გააძვრეს 250 მანეთიანი ლაბადა და დაუზოგავად სცემეს.

ცხინვალის ახლოს გააჩერეს მანქანით მიმავალი ექიმი შალვა მაისურაძე. თავად ექიმი გალახეს, მანქანა კი ბეტონის ნაგებობას მიახეთქეს და ერთიანად დალეწეს.

ცხინვალში დაიჭირეს იქ საქმეზე ჩასული, ზემო აჩაბეთელი ვალიკო ჭულუხაძე, უწყალო ცემით ყბა და ნიკაპი დაუმტვრიეს და იგი ამჟამად თბილისის საავადმყოფოში იმყოფება.

სოფელ თამარაშენში მძიმედ შეიქნა ავად ამ სოფლის მკვიდრი სონია ელბაქიძე. მისმა ახლობლებმა დარეკეს სასწრაფო დახმარების პუნქტში. — რით ვერ გაიგეთ რომ ქართველებს აღარ ვემსახურებითო, — იყო პასუხი. სონია ელბაქიძე იმ ღამესვე გარდაიცვალა.

ცხინვალში მიიყვანეს ფეხმძიმე ნანი სხირტლაძე-ცხოვრებოვა, რომელსაც მუცელი ასტკივდა. იგი ქალაქში არ შეუშვეს. მაშინ მისი ახლობლები იძულებული გახდნენ მშობიარობა მოეხდინათ შინაურ პირობებში. ბავშვი, რომელიც საჭიროებდა სამედიცინო დახმარებას, დაიღუპა, დედა ახლაც მძიმე მდგომარეობაშია.

ორიოდ სიტყვით გამცნობთ ჩემს საკუთარ ამბავსაც. მე ხშირად მიხდება თბილისში ჩამოსვლა, რადგან აქ საავადმყოფოში წევს ჩემი ვაჟი, რომელსაც ახლახან ფეხი მოკვეთეს ოსების მიერ ვერაგულად ნასროლი ტყვიების მიზეზით. ყოველი გამგზავრების დროს უნდა გავიარო ოსთა პიკეტები. გზაზე გამოფენილი შეიარაღებული ოსები, რომელთაც ძალიან კარგად იციან ჩემი გასაჭირი არავითარ ანგარიშს არ მიწევენ, პირიქით ყოველნაირად მამცირებენ და ასე გასინჯეთ, ამ დროულ კაცს ცემა-ტყეპასაც არ მაკლებენ.

ასე დაამთავრა თავისი გამოსვლა ნაღვლითა და დარდით სავსე, მხცოვანმა ქართველმა პედაგოგმა.

სულორელი

სხვადასხვა

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს კინემატოგრაფიის მთავარი სამმართველოს განცხადება

საქართველოს დამოუკიდებელი კინემატოგრაფიის სისტემის შესაქმნელად კულტურის სამინისტროს კინემატოგრაფიის მთავარ სამმართველოს დაევალა შეიმუშაოს და შემდგომ განახორციელოს რესპუბლიკის სახელმწიფო კინემატოგრაფიის სტრუქტურული რეორგანიზაციის პროექტი. სახელმწიფო კინოკორპორაციის არსებითი ამოცანებია — წარმოებრივი და შემოქმედებითი პროცესების მაქსიმალური გამიჯვნა, შემოქმედებითი პროცესის სრული თავისუფლების უზრუნველყოფა, კინოწარმოებისა და კინოგაქირავების ქვესისტემებში ეკონომიკური ფაქტორების როლის გაძლიერება.

კინემატოგრაფში წარმოებრივ-შემოქმედებითი ის სისტემა, რომელიც ამჟამად მოქმედებს, შექმნილია სოციალ-იმპერიალისტური მიზნების რეალიზაციისათვის, ეროვნული სულის დათრგუნვის მიზნით და დაფუძნებულია პრივილეგირებულთა მცირერიცხოვანი წრის ინტერესების უპირატესობაზე, მათ ხელში უდიდესი ადმინისტრაციული და ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაციაზე, რასაც კიდევ უფრო აძლიერებს შემოქმედებითი და წარმოებრივი სფეროების ერთ ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სტრუქტურად გაერთიანება.

ასეთი სისტემა არსებითად ბღალავს კინემატოგრაფისტთა იმ წრეების ინტერესებსა და შემოქმედებით თავისუფლებას, რომლებიც მმართველი პრივილეგირებული კინოწრეების ოპოზიციაში ხვდებიან, ქმნის ეკონომიკური და სოციალური რესურსების უკონტროლო, სუბიექტური და ამდენად არაეფექტური განაწილების, შრომის მწარმოებლურობის დაქვეითებისა და შრომითი, ადმინისტრაციული, ფინანსური თუ გეგმიური დისციპლინის დარღვევების ფართო შესაძლებლობებს — რისი ფაქტებიც საკმარისზე მეტია.

მაგალითად, 1985-1990 წლებში კინოსტუდია „ქართულ ფილმში" ფილმები გადაიღო 55-მა კინორეჟისორმა, ამისათვის კი სულ დაიხარჯა დაახლოებით 38 მილიონი მანეთი, ე. ი. თითო რეჟისორს განკარგულებაში ჰქონდა საშუალოდ 600 ათასი მანეთი. მაგრამ საგულისხმოა, რომ კინოსტუდიის დირექტორს ერგო ყველაზე დიდი წილი — 6 მილიონი მანეთი, რაც თითქმის 5-ჯერ მეტია ნებისმიერ სხვაზე, ხოლო საშუალოზე კი 10-ჯერ მეტი. სულ კი კინოსტუდიის დირექტორმა და მისმა ვაჟმა ფილმების გადაღებაზე დახარჯეს 7 მილიონი მანეთი, ანუ კინოსტუდიის ფულადი რესურსების თითქმის მეხუთედი. ეს თანხა იმაზე მეტია, რაც ფილმების გადასაღებად ამავე პერიოდში ერგო სხვა 20 კინორეჟისორს.

ასეთივე სურათია გასული ოცწლეულის განმავლობაშიც. დროის ამ პერიოდში კინოსტუდია „ქართულ ფილმში" ფილმების წარმოებაზე დაიხარჯა ასი მილიონი მანეთი, ფილმები გადაიღო ასამდე კინორეჟისორმა. აქედან ათ რეჟისორს განკარგულებაში ჰქონდა თანხის მესამედზე მეტი და ამ ათეულშია კინოსტუდიის დირექტორი (პირველ ადგილზე) და მისი ვაჟი.

საყურადღებოა, რომ მთელი ქართველი ერის მოთხოვნა კულტურის სფეროში დეპოლიტიზაციისა და დეპარტიზაციის შესახებ კინოწარმოებაში ზემოთაღნიშნული გარემოებების გამო არსებითად არ ხორციელდება.

სახელმწიფო კინოკორპორაციის პროექტის შემუშავების პროცესში, რაც უახლოეს ორ თვეში უნდა დასრულდეს, კინოწარმოების სფეროში დემოკრატიული და პლურალისტური გარემოს შექმნის, აგრეთვე ამ წარმოებრივ-შემოქმედებითი დაწესებულების დეპარტიზაციისა და დეპოლიტიზაციის მიზნით, საქართველოს კულტურის სამინისტრომ მის დაქვემდებარებულ კინოსტუდიებში „ქართული ფილმი" და „მემატიანე" დროებით გააუქმა დირექტორის თანამდებობა და ამით ერთპიროვნული მმართველობა, ხოლო სანაცვლოდ შექმნა დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული ადმინისტრაციული საბჭოები.

ადმინისტრაციული საბჭო ხუთი წევრისაგან შედგება და მასში წარმოდგენილია ყველა დაინტერესებული სფერო. ადმინისტრაციული საბჭოს ოთხი წევრი კინემატოგრაფიული სამყაროს წარმომადგენელია. ესენი არიან — კინოსტუდიის ყოფილი დირექტორი, კინოსტუდიის თანამშრომელთა წარმომადგენელი, კინემატოგრაფისტთა კავშირის წარმომადგენელი და უზენაესი საბჭოს წევრი-კინემატოგრაფისტი. ადმინისტრაციული საბჭოს მეხუთე წევრია კინემატოგრაფიის მთავარი სამმართველოს წარმომადგენელი.

ადმინისტრაციული საბჭოების ამოცანაა შესაბამის კინოსტუდიებში შექმნან სპეციალური სარეორგანიზაციო კომისიები და უზრუნველყონ ამ კომისიების მუშაობისათვის პლურალიზმისა და შემოქმედებითი თავისუფლების პირობები. სარეორგანიზაციო კომისიებმა, რომლებსაც დემოკრატიულ და არჩევით საწყისებზე, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისაგან დააკომპლექტებენ თვით ამ სტუდიების შემოქმედებითი წრეები და თანამშრომლები, უნდა შეიმუშაონ ფილმწარმოების ახალი სტრუქტურის გეგმა, რომელიც შემდგომ აისახება საქართველოს სახელმწიფო კინოკორპორაციის პროექტში, რომელსაც საბოლოოდ განიხილავს და დაამტკიცებს საქართველოს უზენაესი საბჭოს შესაბამისი კომისია. პროექტზე მუშაობისას მხედველობაში იქნება მიღებული აგრეთვე ცალკეულ კინემატოგრაფისტთა და მათი ჯგუფების აზრიც.

ამჟამად კინემატოგრაფიის მთავარ სამმართველოსა და კინოსტუდიებში მიმდინარეობს მუშაობა დასახული გეგმის რეალიზაციისათვის.

საკუთარ სახლში

ერთი ნაბიჯია დარჩენილი

მსოფლიოს ისტორია ამ შემაძრწუნებელ ფაქტს ასე აღნიშნავს: 1991 წლის 13 იანვარს საბჭოთა იმპერია ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა თავისუფალ ლიტვას.

გორბაჩოვმა შეცდომა კი არ დაუშვა, როგორც ამას ზოგი დასავლეთელი ჟურნალისტი ამტკიცებს, თავის ნამდვილ პორტრეტს — ტირანისას და დიქტატორისას კიდევ ერთი შთამბეჭდავი შტრიხი მიუმატა, თავისი პირდაპირი მოვალეობა შეასრულა, როგორც იმპერატორმა.

ნუთუ კიდევ დარჩა რამე გასარკვევი? ნუთუ კვლავ მიუჯდება კეთილი ნების მსოფლიო დიპლომატ გორბაჩოვთან ერთად კაცობრიობის ხსნის სათათბირო საერთაშორისო მაგიდას?

ახლა, ამ დღეებში, დაჯდებიან კომისიები და უმაღლესი საბჭოს სესიაზე ლუკიანოვი „გაარკვევს", რომ 13 ივლისს ლიტვაში შეჭრილ დესანტს ჰქონდა მხოლოდ გაწვევისათვის კომისარიატების დახმარების ამოცანა, რომ მშვიდობიანმა უიარაღო დემონსტრანტებმა თვითონ აუტეხეს სროლა „საწყალ" ჯარისკაცებს, რომ დაჭრილებს ტანკებმა კი არ გადაუარეს, არამედ მოქალაქეები ჭყლეტაში დაიღუპნენ.

ხვალვე გამოვა გორბაჩოვი, დაღუპულთა ოჯახებს თანაგრძნობას გამოუცხადებს და „დაგვარწმუნებს", რომ არაფერი იცოდა ლიტვის ოკუპაციის შესახებ, დაგვპირდება, რომ გამოიძიებს ყველაფერს და დამნაშავეებს საკადრისად დასჯის.

ისე დასჯის, როგორც „დასაჯა" თბილისისა და ბაქოს სისხლის კალოს მომწყობნი.

ლიტვის დარბევიდან ერთი ნაბიჯია დარჩენილი ურჩი საქართველოსთვის ანგარიშის გასწორებამდე. კრემლის დამსჯელობითი აქციები დიდი გამომგონებლობით არ გამოირჩევა: ერთი სცენარი, ერთი ხელწერა აქვთ.

ახლა სამიტინგო ისტერიებსა და ლამაზსიტყვაობაზე უფრო მეტად რკინის გული, მგლის მუხლი და სამშობლოსათვის თავდადების გრძნობა გვჭირდება.

საზოგადოება „თვისტომი"

სოლიდარობას ვუცხადებთ

საქართველოს ახალგაზრდული კავშირი სოლიდარობას უცხადებს მთელ ლიტველ ხალხს და ლიტვის ეროვნულ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს.

კაცობრიობის ისტორიაში 9 აპრილის ტრაგედია საქართველოში სამწუხაროდ უკანასკნელი არ ყოფილა, პატარა ერების ბედი ისტორიის თვალთახედვაში ეწირება გლობალურ იმპერიის ინტერესებს.

ძვირფასო მეგობრებო, ჩვენი მრავალრიცხოვანი ორგანიზაცია თქვენთან არის. გამოვთქვამთ რწმენას, რომ სიმართლე და ჭეშმარიტება საბოლოოდ გაიმარჯვებს.

საქართველოს ახალგაზრდული კავშირის სათათბირო.

გასწორება

გაზეთის გუშინდელ ნომერში დაბეჭდილ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ცნობაში ლიტვის ამბებთან დაკავშირებით (იხ. რუბრიკა „ხელისუფლების დერეფნებში") მესამე სვეტის პირველ აბზაცში უნდა იკითხებოდეს:

ვინაიდან ლიტვის უზენაესი საბჭოს შენობას გარს არტყია სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ათიათასობით მომხრე,

შემდეგ როგორც ტექსტშია.

ხიდი

„ივერია" ლიტვაში

ქართველი და ლიტველი ხალხების მეგობრობას, მათ შორის კულტურულ ურთიერთობას ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციები მოსდგამს. ცნობილია, რომ ქართულ საისტორიო ლიტერატურაში ლიტვა პირველად XVII საუკუნეში იხსენიება. მოსკოვში მოსახლე ქართველი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწენი, რუსეთის საგარეო პოლიტიკის ინტერესებისათვის, სპეციალურად სწავლობდნენ ბალტიისპირეთის ამ რეგიონს ეკონომიკური, სტატისტიკური და სამხედრო თვალსაზრისით.

ლიტვა მოხსენიებული აქვს ვახტანგ ბატონიშვილს (ბაგრატიონს) ისტორიულ-გეოგრაფიულ ნაშრომში „ქართველ თავადაზნაურთა აღწერილობა". ლიტვაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის აგრეთვე გრიგოლ ბაგრატიონიც, თავის დღიურში „მოგზაურობა პეტერბურგიდან ვილნომდე".

ამ ორი ერის კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა უფრო გაღრმავდა მას შემდეგ, რაც საქართველოში 1832 წლის სათავადაზნაურო, ანტითვითმპყრობლური შეთქმულება გამომჟღავნდა და ამ შეთქმულების მონაწილე მწერლები გრ. ორბელიანი და გ. ერისთავი ლიტვაში გადაასახლეს. ლიტვისადმი ინტერესზე მეტყველებს გრ. ორბელიანისა და გ. ერისთავის პირადი წერილები, დღიურები და ლექსები, სადაც შესანიშნავად არის გადმოცემული გადასახლებაში მყოფი მწერლების ცხოვრებისეული ეპიზოდები, ლიტველი ხალხის ყოფაცხოვრება და ზნე-ჩვეულებები. ამის დასტურია აგრეთვე 1862 წელს ჟურნალ „ცისკარში" დაბეჭდილი მ. ყიფიანის მოთხრობა „პოლონეთის მეფე და ლიტვის ჰეტმანი", რომელშიც აისახა ლიტველი ხალხის ისტორიული ბედი. აღსანიშნავია ისიც, რომ 1916 წელს თბილისში, რუსეთის მეფის მთავრობის მიერ გადმოსახლებულმა ლიტველ პატრიოტთა ერთმა ჯგუფმა ჩამოაყალიბა ლიტვური სამუსიკო თეატრის დასი. თეატრს ჰყავდა მომღერალთა გუნდი, რომელშიც ლიტველებთან ერთად ქართველებიც მღეროდნენ. საგულისხმოა, რომ 1918–1921 წლებში ლიტვას თავისი მისიის წარმომადგენელი ჰყავდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. იგი გახლდათ ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი კლემენტას პრიალგაუსკასი. ამ პერიოდში მან გარკვეული წვლილი შეიტანა ლიტვა-საქართველოს პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური კავშირურთიერთობის განმტკიცებაში.

თავის მხრივ, ლიტვაშიც ღვივდებოდა ინტერესი საქართველოსადმი. ამას დიდად შეუწყვეს ხელი იმ პირებმა, რომლებიც XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში სხვადასხვა მიზეზის გამო აღმოჩნდნენ საქართველოში, აღნიშნული პერიოდის ლიტვური პრესის ფურცლებზე ქვეყნდებოდა წერილები საქართველოსა და მისი კულტურის შესახებ. პუბლიკაციათა ავტორები ძირითადად მწერლები ან მოგზაურები იყვნენ. წერილებში საქართველო წარმოჩენილია როგორც ერთგვარი მისაბაძი იდეალი, ქებაშესხმულია ქართველთა ეროვნული თვითშეგნება და სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში თავგანწირვა. პუბლიკაციათა ავტორები დაინტერესებულნი იყვნენ დაეძებნათ და ლიტვური პრესის ფურცლებზე წარმოეჩინათ ეროვნული თვითშეგნების ისეთი შემთხვევები, რომელთაც მაგალითის ძალა ექნებოდა ლიტველებისათვის.

XIX საუკუნის მიწურულს ლიტვისადმი ინტერესი საქართველოშიც გაძლიერდა. ეს ინტერესი გარკვეულწილად აისახა იმ პერიოდის ქართულ პუბლიცისტიკაში. ქართველი საზოგადოება დიდ ინტერესს იჩენდა ბალტიისპირეთის ამ ქვეყნისადმი. თუ რით გამოიხატებოდა ეს, სულ მალე გახდება ჩვენი განხილვის საგანი. ცნობილია, რომ ლიტვის ისტორიული ბედი საქართველოსას ჰგავს. ეს გახლავთ ამ ქვეყნების საუკუნოვანი, პერმანენტული ბრძოლა თავისუფლებისათვის ე. ი. ეროვნული შემართება, რომელიც დამახასიათებელია ორივე ერისათვის, აახლოებს ჩვენს კულტურებს და მსოფლმხედველობებს.

ამავე დროს არ შეიძლება ხაზი არ გაესვას ქართული და ლიტვური ეროვნული ხასიათის ერთ საერთო ნიშან-თვისებას, როგორც ერთის, ისე მეორისათვის, ძნელად თუ მოიძებნება საკუთარ სამშობლოზე უფრო ძვირფასი და ახლობელი. ეს ის ხალხია, რომელთა ბუნებაშიც ძალზე მცირეა ნომადიზმი. სწორედ ამ ნიშნის მიხედვით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ქართველების რიცხობრივი რაოდენობა ლიტვაში არ არის დიდი. ენციკლოპედიური მონაცემებით, ლიტვაში 675 ქართველი ცხოვრობს, საქართველოში კი 977 ლიტველი.

ლიტვაში არსებობს ქართველთა საზოგადოება „ივერია", რომელიც ჩვენი ეროვნული ტრაგედიის — 9 აპრილის შემდეგ შეიქმნა. საზოგადოებას ჰყავს პრეზიდენტი — ლიტვაში საკმაოდ ცნობილი მთარგმნელი და ჟურნალისტი, ეროვნებით ქართველი, დალი გოგეშვილი-ითდიშიენე. ქალბატონი დალი 24 წელია რაც ლიტვაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. მისი დამსახურებაა, რომ დღეს ლიტველთა ბიბლიოთეკას ამშვენებს ს. კლდიაშვილის, ო. იოსელიანის, ნ. დუმბაძის, გ. დოჩანაშვილის, გ. ფანჯიკიძის და სხვა ქართველ მწერალთა ნაწარმოებები. საგულისხმოა ისიც, რომ ქალბატონი დალი ლიტვის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საარჩევნო კომისიისა და ქალთა კავშირის წევრია.

ლიტვაში მცხოვრებ ქართველთა საზოგადოების შექმნის პრეისტორია კი ასეთია: 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკულ კვირადღეს ქალბატონ დალის თბილისიდან დაურეკა ძმამ, მწერალმა ჯ. გოგეშვილმა და გამწარებულმა უთხრა „გვჩეხავენ დაო და გვიშველეთო..." სწორედ ეს იყო ის იმპულსი, რომელმაც ქალბატონ დალის შთააგონა შეედგინა საპროტესტო წერილის ტექსტი და გამოექვეყნებინა ლიტვაში მცხოვრებ ქართველთა სახელით პრესაში. წერილი ასეთი შინაარსისაა: „ჩვენი მიზანია თავისუფალი ლიტვა და თავისუფალი საქართველო. პროტესტს ვაცხადებთ 9 აპრილის სისხლიანი აქციის წინააღმდეგ. დაე ვილნიუსის ქუჩებმა არასოდეს იგრძნონ „დემოკრატიის მომტანი" ტანკების სიმძიმე, ხოლო ქალაქის მცხოვრებლებმა — „მეგობარ დამსჯელთა ყურადღება". აღსანიშნავია, რომ ეს საპროტესტო წერილი გამოაქვეყნა გაზეთმა „ატგიმიმასმა" („აღორძინება"), რომელიც ლიტვის ეროვნული მოძრაობის „საიუდისის" პირველდაწყებითი ორგანოა.

ლიტვაში მცხოვრებ ქართველთა საზოგადოება „ივერია" სულ 38 წევრისაგან შედგება (პრეზიდენტს ჰყავს ორი მოადგილე — ჟურნალისტი ზურაბ ჯავახიშვილი და იურისტი, ლიტვის შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებელი სერგი ამირგულაშვილი). დაარსების დღიდან „ივერია" აქტიურად ჩაერთო ლიტვის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და უშუალოდ „საიუდისის" ქვედანაყოფი გახდა (ამას ადასტურებს ლიტვური პრესაც). „ივერია" სრულიად ეთანხმება და სოლიდარობას უცხადებს ლიტვის რესპუბლიკის 1990 წლის 11 მარტის სუვერენიტეტის დეკლარაციას და მიაჩნია, რომ წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებული ლიტვის ისტორიული მიწა-წყალი ერთადერთი ადგილია დედამიწაზე, სადაც ლიტველმა ერმა საკუთარი ენა და კულტურა უნდა განავითაროს. „ივერია" ხელმძღვანელობს დევიზით — „ყველა ერთისთვის, ერთი ყველასთვის". საზოგადოების ძირითადი მიზანია ლიტვა-საქართველოს კულტურული ურთიერთობის გაღრმავება, რაც უფრო შეუწყობს ხელს ჩვენი ხალხების სულიერ დაახლოებას.

უახლოეს ხანებში „ივერია" საკუთარ ჭერქვეშ დაიდებს ბინას, რაც მისი მეტად ნაყოფიერი მუშაობის საწინდარი იქნება. ამჟამად კი საზოგადოების შტაბბინა მისი პრეზიდენტის სახლშია მოთავსებული (ვილნიუსი, გედემინასის პროსპექტი 54-ა, ბინა-1, ტელ: 61-16-04). „ივერიის" შტაბბინაში ხშირად იკრიბებიან სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები, როგორც ლიტვიდან, ისე საქართველოდან. შეკრებებზე იმართება საინტერესო დისკუსიები საქართველოსა და ლიტვაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, იგეგმება საქმიანი შეხვედრები. საზოგადოების მიზანია, ლიტვაში ობიექტურად იცოდნენ, თუ რა ხდება საქართველოში.

შეიძლება ითქვას, რომ „ივერია" ლიტვაში მცხოვრებ და საქართველოდან ლიტვაში ჩასულ ქართველთა გზამკვლევი კოლონია. სამწუხაროდ, ლიტვაში მცხოვრები ზოგიერთი ქართველი დღემდე არ გამოხმაურებია „ივერიას". ლიტვის ქართველთა ეს, ასე ვთქვათ, „პასიური ნაწილი" ყველაფერში როდი ეთანხმება ლიტვის პარლამენტის გადაწყვეტილებებს, მაგრამ ქართული გენი მაინც თავისას შვრება. ალბათ, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ლიტვის ეროვნული მოძრაობის საწინააღმდეგო ფრონტში („ედინსტვო") ქართველს ვერ შეხვდებით.

ალბათ, აქვე ისიც უნა ითქვას, რომ ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის საქციელი ჩრდილს აყენებს საქართველოს და ქართველ ხალხს ლიტვაში. ამას ემატება ისიც, რომ კავკასიის სხვა ერების ზოგიერთი წარმომადგენელი იქაურ ბაზარზე ქართველად ასაღებს თავს და მამასისხლად ჰყიდის ეგზოტიკურ ხილსა თუ ციტრუსებს. სიტყვა ქართველი და საქართველო კი ტრადიციულად ვაჟკაცობის, რაინდობის და სიკეთის სიმბოლოა ლიტველისათვის. ამ სახელს გაფრთხილება სჭირდება. აღსანიშნავია, რომ ბლოკადის პერიოდში საქართველომ დიდი მორალური და მატერიალური დახმარება გაუწია ლიტვას. კერძოდ, საქართველოში დაარსდა ლიტვის ფონდი, რომელმაც სოლიდური (როგორც ფულადი, ისე ნივთიერი) დახმარება აღმოუჩინა გაჭირვებაში ჩავარდნილ მოძმეს. მომავალში კარგი იქნება, თუ საქართველოდან ლიტვაში საქმიან ვიზიტად ჩასულნი „ივერიას" მიმართავენ, სადაც ყველაფერი ოფიციალურად იქნება ფიქსირებული და პრესაში გაცხადებული.

დღესდღეობით ლიტვაში მოქმედებს ეროვნებათშორისი ურთიერთობების დეპარტამენტი. მასში გაერთიანებულია 27 საზოგადოება. მათგან გამოვყოფდით ლიტვაში პოლონელთა კულტურის შენარჩუნების საზოგადოებას, რუსი ეროვნების პროგრესულ წარმომადგენელთა საზოგადოებას, ლიტვაში მცხოვრებ ებრაელთა საზოგადოებას, უკრაინელთა საზოგადოება „გრომადას" და ქართველთა საზოგადოება „ივერიას". უნდა ითქვას, რომ ლიტვის პარლამენტი უშუალოდ არის დაინტერესებული ქართველთა საზოგადოების გაძლიერებით და უახლოეს ხანებში პირდება „ივერიას" შესაფერი შტაბბინის გამოყოფას. ცნობილია, რომ ისტორიამ განმეორება იცის, ამდენად არ არის გამორიცხული, რომ „ივერია" სულ მალე დამოუკიდებელი საქართველოს საელჩოდაც მოგვევლინოს, ლიტვაში. ეს სამომავლოდ, მანამდე კი აუცილებელია საზოგადოების ბაზაზე შეიქმნას პრესცენტრი. ანალოგიურად, ალბათ, საქართველოშიც უნდა დაისვას საკითხი ლიტვის პრესცენტრის შექმნის შესახებ, სადაც გაიმართება ფართო მასშტაბის დისპუტები მეცნიერულ, კულტურულ და პოლიტიკური ხასიათის თემებზე.

უახლოეს მომავალში გიორგი შარვაშიძის საზოგადოება გამართავს სპეციალურ საღამოს, რომელიც მიეძღვნება საქართველოსა და ლიტვის კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობას. საღამოს მიზანია ხელი შეუწყოს ლიტვა-საქართველოს შორის კულტურული ურთიერთობების განმტკიცებას და თავისუფალი, დემოკრატიული გზით განვითარებას.

დარეჯან ბუაჩიძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ ურთიერთობათა კვლევის ცენტრის მეცნიერ თანამშრომელი, გიორგი შარვაშიძის საზოგადოების წევრი.

ვილნიუსი-თბილისი.

მინაწერი: მკითხველი, ალბათ, მიხვდება, რომ ეს წერილი ცოტა ადრეა დაწერილი. ვილნიუსიდან ჩვენ დეკემბრის ბოლოს დავბრუნდით. „ივერიის" პრეზიდენტის საპროტესტო წერილში გამოთქმული შიში იმის შესახებ, რომ ვილნიუსის ქუჩებსაც ემუქრება ტანკების სიმძიმე, სამწუხაროდ, გამართლდა. ამიტომ დღეს თავისუფლებისათვის მებრძოლ ერებს კიდევ უფრო მეტი შეკავშირება გვჭირდება სანუკვარი მიზნისათვის ბრძოლის რთულ და ეკლიან გზაზე.

საზღვარგარეთ

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА 15

ОСНОВАНА В МАЕ 1925 г. ВСЕСОЮЗНАЯ ЕЖЕДНЕВНАЯ ГАЗЕТ

სასწრაფო გამოშვება

თბილისი, ბაქო, ვილნიუსი. შემდეგი?

სსრკ პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი: „ეს ამბავი დილაადრიან შევიტყვე. ტრაგედიის ცნობა ყველასთვის მოულოდნელი იყო. ამჟამად ლიტვაში სსრ კავშირის პროკურატურა მოქმედებს".

ლიტვის დეპეშათა სააგენტოს ფოტო.

მ ე რ ე?

მაშ, ასე, ამ დღეს წინ უძღოდა

1990 წლის 11-13 იანვარს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრკ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტი ვილნიუსში. ქალაქის მცხოვრებლებთან საუბრიდან „ხმა: ჩვენში სისხლი არ დაიღვრება?..."

მ. ს. გორბაჩოვი: ნუ ჩქარობთ, პატიოსნად უნდა ვისაუბროთ, ჩიხში ნუ მოვექცევით, დანით თუ სკალპელით ნუ ავჭრით ცოცხალ ორგანიზმს".

თებერვალ-მაისი.

უზენაესი საბჭოების სესიებზე მიიღეს დეკლარაციები ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის სუვერენიტეტის შესახებ.

სექტემბერი.

მედესანტეთა მარში მოსკოვისაკენ დემოკრატიული ძალების მიტინგის წინ.

27 ნოემბერი.

სსრკ თავდაცვის მინისტრმა დ. იაზოვმა ცენტრალური ტელევიზიით გააკეთა განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ითქვა, რომ სამხედრო ოლქების სარდლებს ებრძანათ „მტკიცედ დაუპირისპირდნენ ძეგლების აგებას და ფაშისტების და მათი დამქაშების ხოტბა-დიდების სხვა ფორმებს, მოსპონ უკვე არსებული ამგვარი სიმბოლოები".

29 ნოემბერი.

ვილნიუსის რადიოსაზომი ხელსაწყოების ქარხნის მუშებმა სსრკ პრეზიდენტს მიმართეს წერილით, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ყოველკვირეულ „გლასნოსტში" გამოქვეყნდა: „შეიძლება თუ არა პრეზიდენტის საბჭოს შემადგენლობაში იყოს კაცი, რომლის საქმიანობაც ხელს არ უშლის ბალტიისპირეთში, და მაშასადამე, მთელ ქვეყანაში დესტრუქციულ ძალებს?" მხედველობაში ჰყავდათ შინაგან საქმეთა მინისტრი ვ. ბაკატინი.

1 დეკემბერი.

სსრკ პრეზიდენტის ბრძანებულებით ვ. ბაკატინი გადააყენეს პოსტიდან. შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა ბ. პუგო.

გაიმართა დეპუტატთა ჯგუფის „სოიუზის" სხდომა, რომელზეც გამოითქვა წინადადება, რომ საჭიროა პირდაპირი პრეზიდენტის მმართველობა შემოიღონ იმ რესპუბლიკებში, რომლებიც ახალი საკავშირო ხელშეკრულების ხელმოწერას არ აპირებენ.

5 დეკემბერი.

ლატვიის ოთხ დაბაში ოთხი აფეთქება გაისმა, რომლებმაც გაანადგურეს იმ ლატვიელ ლეგიონერთა ძეგლები, მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის მხარეზე რომ იბრძოდნენ. როგორც ესტონეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობაში ითქვა, „იპოვეს ქიმიური დეტონატორები, რაც აშკარად მიუთითებს, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობანი არმიას ეკუთვნოდა".

12-24 დეკემბერი.

ლატვიის დედაქალაქში კიდევ რვა აფეთქების ხმა გაისმა. სადივერსიო ობიექტები ისე შეურჩევიათ, რომ ეჭვი არ გამოეწვიათ შემსრულებელთა პოლიტიკური ანტიპათიების მიმართ. ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცენტრი და მისი რაიკომების შენობები, უმაღლესი სამხედრო სასწავლებლის ტერიტორია, სამხედრო კომენდანტურა, რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, ლენინის ძეგლი...

20 დეკემბერი.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. შევარდნაძემ სსრკ სახალხო დეპუტატთა IV ყრილობაზე განაცხადა: უნდა გადავდგე იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ დიქტატურა მზადდება.

კლაიპედის ქუჩებში გაძლიერებული შეიარაღებული პატრულები გამოჩნდნენ.

26 დეკემბერს ღამით

რიგაში კიდევ ოთხი აფეთქება გაისმა.

1991 წლის 2 იანვარი

რიგაში სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მეავტომატეებმა ლატვიის კომპარტიის (სკკპ პლატფორმაზე) ცენტრალური კომიტეტის თხოვნით ხელთ იგდეს ბეჭდვითი სიტყვის სახლი.

8 იანვარი

ვილნიუსში სსრკ შეიარაღებულ ძალებში გაწვევის უზრუნველსაყოფად სადესანტო ჯარების ქვეგანაყოფები ჩავიდნენ.

ლიტვის პარლამენტის შენობის წინ საპროტესტო მიტინგი გაიმართა ფასების მომატების წინააღმდეგ. რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა კ. პრუნსკენემ თავისი მთავრობის გადადგომა გამოაცხადა.

13 იანვარი.

ღამის ორის ნახევარი. ლიტვის ტელევიზიის შენობას (და ტელეკოშკს) ალყა შემოარტყა 10 ტანკმა. მათი ზარბაზნები სხვადასხვა სართულს იყო დამიზნებული.

2 საათი. ტანკებმა ფუჭი ჭურვები დაუშინეს ტელევიზიის შენობას.

2 საათი და ათი წუთი. ვილნიუსში შეწყდა ლიტვის ტელევიზიის გადაცემები. ტელესტუდიის უკანასკნელ კადრებში უჩვენეს, თუ როგორ შეიჭრნენ შენობაში მედესანტეები. ტელემაყურებლებმა საკუთარი თვალით ნახეს იერიში ტელეცენტრზე.

2 საათი და 17 წუთი. შეწყდა ლიტვის რადიოს გადაცემები.

2 საათი და 35 წუთი. ჯარებმა ხელთ იგდეს ტელეგრაფი.

შემდგომი ამბები ლიტვის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შენობის მიდამოებში: 7 ტანკი მიუახლოვდა პარლამენტის შენობას, მაგრამ გზა გადაუღობეს. ტანკებს ავტომობილებით უკან მოჰყვებოდნენ „ინტერფრონტის" ძალები გამარჯვების აღსანიშნავი შეძახილებით.

14 იანვარი.

როგორც ამ დილით გაირკვა, ვილნიუსში დახოცილია 13 და დაჭრილია 144 კაცი.

საკუთარ სახლში

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

საქართველოს მილიცია ამ დღეებში შიდა ქართლში იხდის თავის სამსახურებრივ და პატრიოტულ ვალს: იცავს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, იღებს ექსტრემისტების ხელში არსებულ იარაღს, ახორციელებს ადგილობრივი მოსახლეობის უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებებს. ყოველივე ამის გაკეთება ქართველ მილიციელებს უხდებათ უაღრესად რთულ პირობებში, საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ფასად.

საქართველოსათვის ამ მძიმე განსაცდელის ჟამს სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნია მშობლიურმა ხალხმა მორალური და მატერიალური თანადგომა გაუწიოს თავის მილიციას. პრესით, რადიოთი და ტელევიზიით ამგვარი სურვილი გამოთქვა მრავალმა ორგანიზაციამ, საწარმომ, კოოპერატივმა, კერძო პირმა, რასაც მილიციის ყველა თანამშრომელი მადლიერების გრძნობით შეხვდა. სამინისტროსთან შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომლის მეშვეობითაც ყველას შეუძლია მილიციისადმი თავისი თანადგომის პრაქტიკულად განხორციელება. ამასთან ერთად გვინდა გავაკეთოთ შემდეგი განცხადება:

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში ამ ბოლო დროს მოდის ინფორმაციები იმის თაობაზე, რომ ქალაქებსა და სოფლებში სხვადასხვა პარტიისა და პოლიტიკური ორგანიზაციის სახელით მოსახლეობაში ძალდატანებით აგროვებენ ფულს, მიჰყავთ ავტომანქანები, ვითომდა შიდა ქართლში მოქმედი ქართული მილიციის დასახმარებლად.

ამგვარი თვითნებობა და აშკარა კანონსაწინააღმდეგო მოქმედება ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია, რადგან ამას შეიძლება მოჰყვეს ხალხის სამართლიანი უკმაყოფილება, ისედაც დაძაბული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების კიდევ უფრო გართულება. მით უმეტეს, როცა მოსახლეობაში ფულის ძალდატანებით აკრეფასა და ავტომანქანების ჩამორთმევას ეწევიან საეჭვო რეპუტაციის მქონე პირები, ზოგჯერ — დამნაშავე ელემენტებიც კი.

გარდა ამისა, ცალკეული პირები და ჯგუფები თავს ესხმიან სახელმწიფო ორგანიზაციებსა და საწყობებს, იტაცებენ ცეცხლსასროლ იარაღსა და ასაფეთქებელ ნივთიერებებს. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ასეთი თავდასხმები სამხედრო ობიექტებზე. მართალია, ისინი ჯერ ისე ხშირია, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ყოველი ასეთი მოქმედება იმპერიულმა ძალებმა შეიძლება გამოიყენონ საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ავი ზრახვების განხორციელების საბაბად.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო კატეგორიულად გმობს იძულებითი წესით მოსახლეობაში ფულის შეგროვებასა და ავტომანქანების ჩამორთმევას, იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების დატაცებას და აფრთხილებს როგორც ცალკეულ პირებს, ისე ყველა თვითმარქვია პოლიტიკურ ორგანიზაციას შეწყვიტონ ამგვარი მოქმედება. წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებული იქნება მკაცრი ზომები, ისეთიც კი, როგორიც იარაღის გამოყენებაა.

ყველა ღონისძიება, რომელიც მიმართული იქნება საქართველოს მილიციისათვის დახმარების გასაწევად, უნდა განახორციელონ ადგილობრივმა სახელმწიფო ორგანოებმა მილიციის რაიონული და საქალაქო განყოფილებების მონაწილეობით.

გარდა ამისა, ქართული მილიციისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მსურველებს შეუძლიათ უშუალოდ მიმართონ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს. წინასწარ დიდ მადლობას მოვახსენებთ ყველა იმ მოქალაქესა და ორგანიზაციას, ვინც თანადგომას გამოუცხადებს რესპუბლიკის მილიციას.

ახლა, როცა იმპერიული ძალების მხარდაჭერით გათამამებული ოსი ექსტრემისტები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და წესრიგის აღდგენისათვის შიდა ქართლში მოქმედ საქართველოს მილიციას, რომლის ძირითადი ძალები საგანგებო მდგომარეობის რაიონში იმყოფებიან, ამ გარემოებით ისარგებლეს დამნაშავე ელემენტებმა და გააქტიურეს თავიანთი საქმიანობა. რესპუბლიკაში ამ ბოლო დღეებში გახშირდა ძარცვის, ყაჩაღობის, ავტომანქანების გატაცების, ქურდობის შემთხვევები, რაც მოსახლეობის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ამ მდგომარეობას არ შეიძლება შევურიგდეთ. მილიცია უკვე შეუდგა სათანადო ღონისძიებების განხორციელებას.

ამასთან ერთად, ოპერატიული ვითარების სტაბილიზაციისათვის, ალბათ, საჭირო და აუცილებელი იქნება ჩვენთვის პრაქტიკული დახმარების გაწევაც. თხოვნით მივმართავთ რესპუბლიკის პარტიებს, პოლიტიკურ ორგანიზაციებს, მათ ხელმძღვანელებს შექმნან საზოგადოებრივი თანადგომის ჯგუფები, რომლებიც მილიციის ორგანოებთან ერთად მოახდენენ პატრულირებას რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო,

საქინფორმი.

გამოსათხოვარი

ზურაბ გოგიჩაიშვილი

თბილისის მილიციის უმაღლესი სკოლის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამაჩაბლოში დაიღუპა თბილისის მილიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული, მილიციის ლეიტენანტი **ზურაბ გოგიჩაიშვილი.**

ზურაბი იყო შესანიშნავი მეგობარი, თავაზიანი, მუყაითი, იუმორით აღსავსე, ბუნებით წყნარი და ამავე დროს გულადი ვაჟკაცი.

მისი ნათელი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება ჩვენს გულში.

თბილისის მილიციის უმაღლესი სკოლის თანამშრომლები.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა და პირადი შემადგენლობა მწუხარებით იუწყებიან, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა თბილისის შსს სახელმწიფო ობიექტებისა და დაწესებულებების მილიციის ლეგიონის მილიციელი
ბუბაჭ გიორგის ძე კევლიშვილი
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 18 იანვარს.

კოლეგები

„სარბიელი" სარბიელზე გამოდის

თუ ახალ დამოუკიდებელ სპორტულ გაზეთს „სარბიელს" ამ ეტაპზე წარდგენა სჭირდება, მასში მომუშავე ჟურნალისტებზე ეს არ ითქმის. ელგუჯა ბერიშვილს, გიორგი ჩოჩიშვილს, გიორგი ქორქიას, დავით კაკაბაძეს და გაზეთის რედაქტორს ზურაბ ფოცხვერიას კარგად იცნობენ მკითხველები.

უკვე გამოვიდა გაზეთის მეორე ნომერი.

გაზეთი დღევანდელი ფასების პირობაზე (40 კაპიკი) არაა ძვირი. ასე რომ, „სარბიელს" ყველა წინაპირობა აქვს შესაფერისი ადგილი დაიკავოს რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების საუკეთესო „ნაკრებში".

საქართველოს რესპუბლიკა

მხოლოდ სახელშეცვლილი გაზეთი ნუ გეგონებათ, ძვირფასო მკითხველებო — სულ სხვაა მიზნები, ამოცანები, პერსპექტივები. ჩვენი გაზეთის თითოეული ჟურნალისტის შემართება ამჟამად ყველაზე მთავარითა და უმაღლესით — საქართველოს სიყვარულითა და ნათელი მომავლის რწმენით არის გამსჭვალული.

„საქართველოს რესპუბლიკის" გამოწერის საშუალება ყოველი თვის 15 რიცხვამდე მოგეცემათ.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;

წერილების რედაქცია 99-73-24.

იბეჭდება ოფსეტური წესით სიგაზეთო

კომბინატში, ხოშტარიას ქ. № 29.

684.